ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

-სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 10 მაისი 1997 №53 (418) ფასი 40 თეთრი



## ძოძუაშვილიც უიღბლობას უჩივის

„უემბლიზე" საქართველოს ნაკრების თამაშიდან ათი დღე კი გავიდა, მაგრამ, ვფიქრობთ, არც ახლა იქნება უინტერესო ეროვნული გუნდის მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის კომენტარი ამ მატჩის შესახებ. ამ ათი დღის მანძილზე ბევრჯერ ვეცადეთ ძოძუაშვილთან რიგაში დაკავშირება, მაგრამ ჩვენი სატელეფონო ქსელის ამბავი ხომ იცით. ჰოდა, ბედმა გუშინღა გაგვიღიმა.

— რა გითხრათ. წასაგები თამაში ნამდვილად არ იყო, ბედმა არ გაგვიღიმა. თანაც, წარმოიდგინეთ, რამდენი ფეხბურთელი იყო ტრავმირებული. არადა, სწორედ ამათ იმედზე ვიყავით და იძულებულები გავხდით, შემადგენლობა შეგვეცვალა. ლობჟანიძესაც მაინცდამაინც თამაშის დღეს ისე აუვარდა სიცხე, დაუმატეთ ამას ცხადაძე, რომელიც ინგლისში საერთოდ არ მოდიოდა და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის წავიყვანეთ. ვარჯიშით საერთოდ არ უვარჯიშია და მისი დაყენებაც მხოლოდ თამაშის დღეს გადავწყვიტეთ. შელიაც ფეხმტკივანი ვათამაშეთ.

**— ვინც ტრავმირებული იყო, იმათ რომ ეთამაშათ, მოვიგებდით?**

— ესენი რომ ყოფილიყვნენ, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, გინდა თუ არა, მოვიგებდით-მეთქი, მაგრამ შედარებით უკეთ კი ვითამაშებდით.

**— ჩვენებიდან ვის გამოარჩევდით?**

— ხომ გითხარით, ბიჭებს ურიგოდ არ უთამაშიათ. ზოიძე, ფაქტობრივად, უშეცდომოდ იდგა კარში, შელიამ აშკარად დაჩაგრა შირერი, ტრავმის მიუხედავად, არც ცხადაძემ შეირცხვინა თავი, დებიუტანტის კვალობაზე შეყილაძეც მშვენივრად თამაშობდა, მართალია, ორივე გოლი მის შეცდომას მოჰყვა, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ. ქინქლაძეც კარგად გამოიყურებოდა. გიომ თამაში დაჭიმული კუნთით დაიწყო, პირველ ტაიმში კი ნატკენი კუნთი კიდევ უფრო გაუმიზეზდა, რის გამოც შესვენებაზევე ვაპირებდით მის გამოცვლას, თუმცა ძალა მოიკრიბა და მაინც გააგრძელა რამდენიმე წუთი თამაში. აბა, გავითვალისწინოთ, ქინქლაძე რომ ჯანმრთელად ყოფილიყო და არაფერს შეეწუხებინა, როგორი პრობლემები შეექმნებოდათ მასპინძლებს, მაგრამ არც ამაში გაგვიმართლა.

**— თუ არ ვცდებით, თქვენ მცველები გყავდათ ჩაბარებული და ამათი მწვრთნელიც, ასე ვთქვათ, თქვენ იყავით. კმაყოფილი ხართ დაცვის თამაშით?**

— აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი: თუ ფეხბურთელთა ინდივიდუალურ მომზადებას მივიღებთ მხედველობაში, საპრეტენზიო არაფერი მაქვს. ცხადაძემაც და შელიამაც კარგად ითამაშეს, ჩიხრაძეც, როგორც შეეძლო, ისე ირჯებოდა, თავის ფლანგს თითქმის უშეცდომოდ აკონტროლებდა, შეყილაძეზე კი უკვე გითხარით — დებიუტის კვლობაზე ნორმალურად ითამაშა. მაჭავარიანიც, მანამ იყო, ისიც ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა ბექემს. აქედან გამომდინარე, ცალ-ცალკე ყველა მცველმა კარგად კი ითამაშა, მაგრამ მთლიანობაში ბევრი უხეში შეცდომა დაუშვეს. მთლად კარგად ვერ უგებდნენ ერთმანეთს და ხშირად აგვიანებდნენ დაზღვევაზე თამაშს. ორივე გოლიც ამის გამო გავუშვით. მცველთა მომზადებაზე მწვრთნელები წლობით მუშაობენ და ხუთ დღეში, რომელიც ინგლისთან მატჩამდე გვქონდა მოსამზადებლად, ძნელია, მცველები უშეცდომოდ ათამაშო.

**— გოგრიჭიანის შეცვლაზე შემოსვლას როგორ კომენტარს გაუკეთებთ? იქნებ სჯობდა, ყაველაშვილს ეთამაშა?**

— მაგ დროს არჩევანის წინაშე ვიდექით. როცა მაჭავარიანი დაშავდა, თამაში ისე მიმდინარეობდა, რომ საჭირო იყო ნახევარმცველის გამოყვანა. თავიდან გვსურდა, გახოკიძით შეგვეცვალა მაჭო, მაგრამ როცა დავფიქრდით, უპირატესობა უფრო გამოცდილ გოგრიჭიანს მივანიჭეთ. რაც უნდა იყოს, გოგა ჯერ ახალგაზრდაა და, ცოტა არ იყოს, შეგვეშინდა კიდეც, ვაი თუ, ნერვებმა უმტყუნოსო და, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ვხვდები, რატომაც მეკითხებით და გიპასუხებთ: თუნდაც ის რად ღირს, ამ თამაშში ყველაზე რეალური საგოლე მომენტი სწორედ გოგრიჭიანის აქტიურობას რომ მოჰყვა, ამას გარდა, ორჯერ კარგი, მწვავე პასიც გააკეთა და საერთოდ, მარჯვენა ფლანგზე ბევრს მოძრაობდა. რა თქმა უნდა, მან თავისი საუკეთესო მატჩი ვერ ითამაშა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს გოგრიჭიანს საერთო საქმე გაეფუჭებინოს. შეცვლით კი იმიტომ შევცვალეთ, რომ დაიღალა, თანაც თამაშს ვაგებდით და თავდასხმის გაძლიერება იყო აუცილებელი. განაპირა ნახევარმცველზე საჭირო აშკარად გამოკვეთილი თავდამსხმელი გახლდათ და აჩიკოც იმიტომ შევიყვანეთ.

რაც შეეხება მიშა ყაველაშვილს, თამაშის წინ მეც და ყიფიანიც ვესაუბრეთ მას. თვითონ გვითხრა, თავდასხმის გარდა ვერსად ვითამაშებო. ჩვენც აღარ დაგვიძალებია. ანკი რა აზრი ექნებოდა მიშას გამოყვანას, თუ თვითონ ფეხბურთელს არ სურდა ნახევარდაცვაში თამაში?

**— გავიგეთ, თითქოს ახალგაზრდულიდან სილაგაძის დამატებასაც აპირებდით.**

— კი, მართლაც ვაპირებდით. ამის შესახებ ვესაუბრე კიდეც ყიფიანს და გადაწყვეტილიც გვქონდა. ეს ისევ და ისევ იძულებით კეთდებოდა, რადგან მცველები არ გვყოფნიდა. ცხადაძის თამაში ხომ სათუო იყო, ლობჟანიძეც ავად გახდა. თანაც ამ ბიჭმა წინა დღეს საკმაოდ კარგად ითამაშა და საერთო მოწონებაც დაიმსახურა. ისე, ცხადაძეს რომ ვერ ეთამაშა, ძალიან დიდი შანსი იყო, მისი ადგილი სილაგაძეს დაეკავებინა.

**— თავდამსხმელებზე რას იტყვით. ახლების დამატებას ხომ არ აპირებთ?**

— ვაპირებთ კი არა, აუცილებელია, თავდასხმაში კონკურენცია იყოს. მარტო შოთა ვერაფერს გააკეთებს, ვინმე თუ არ დაეხმარა. საჭიროა მოსკოვში წასვლა და ზაზა ჯანაშიას საქმეში ხილვა. ასევე კარგად თამაშობს არმაზ ჯელაძეც, რომელიც „ვენდსპილში" თამაშობს. ვატყობ, ძალიან მოუმატა და არ გვაწყენს მისი გასინჯვაც. ფოცხვერიაზე ლაპარაკიც ზედმეტია, უდაოდ ნიჭიერი და იმედის მომცემი ფორვარდია და ალბათ უახლოეს შეკრებაზე გამოვიძახებთ კიდეც. არც აშვეთია უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. მოკლედ, ჯერ თავად ფეხბურთელებმა უნდა შეგვიწყონ ხელი — თავიანთ კლუბებში სისტემატურად თუ არ ითამაშეს და სამიდან ერთ მატჩში მიიღეს მონაწილეობა, აბა, რა აზრი ექნება ამათ ნაკრებში მიწვევას? ჯერ კლუბებში გამოიჩინონ თავი, დანარჩენი კი ჩვენზე იყოს.

**ქოგა ინასარიძე**



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

გუშინწინ გორში: „დილა" — „კოლხეთი". მხარნალრძობ დარასელიას და კომპანიას რევაზ ხაჭაპურიძემ (მარჯვნივ) აჯობა

## რუსები ისევ გვეწვევიან

INTERTOTO CUP

### XII ჯგუფი

21-22 ივნისი: საქართველო — რუსეთი (3)
28-29 ივნისი: საბერძნეთი (2) — საქართველო
5-6 ივლისი: საქართველო — მალტა
12-13 ივლისი: ავსტრია (3) — საქართველო

გუშინ „მანჩესტერ სიტის" პრეზიდენტს გიორგი ქინქლაძის საკითხზე მოსალაპარაკებლად მერაბ ჟორდანია და გიოს პირადი აგენტი ფილიპ იუბერი შეხვდნენ. შეხვედრამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან „სიტის" პრეზიდენტ ლის პრემიერლიგაში დაბრუნების სურვილი ჯერაც არ განელებია და დარჩენაზე ქინქლაძის დაყოლიებაც უცდია. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, რადგან ლი „ლივერპულისა" და „ნიუკასლის" მიერ შეთავაზებულ 6 მილიონ გირვანქად გიოს გაყიდვას არ აპირებს. მეტს კი სეზონის გასრულებამდე და ტრანსფერების გაჩაღებამდე არავინ იხდის. ასე რომ, კვირას გიო კვლავ გაურკვევლობაში მყოფი ეწვევა თბილისს.

## საქართველოს ჩემპიონატი 25 ტური

| | | |
|---|---|---|
| გურია | 1:2 | სამგურალი |
| თსუ | 2:0 | კახეთი |
| დილა | 1:0 | კოლხეთი |
| ტორპედო | 3:0 | სამტრედია |
| ივერია | 0:1 | დინამო |
| ბათუმი | 4:1 | გორდა |
| ოდიში | 0:2 | მერანი |
| სიონი | 4:1 | მარგვეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 20 | 3 | 1 | 77:18 | 63 |
| ბათუმი | 25 | 16 | 7 | 2 | 58:14 | 55 |
| კოლხეთი | 26 | 16 | 4 | 6 | 54:25 | 52 |
| მერანი | 26 | 15 | 6 | 5 | 43:24 | 51 |
| ტორპედო | 25 | 13 | 3 | 9 | 62:47 | 42 |
| ოდიში | 25 | 11 | 1 | 13 | 43:39 | 34 |
| მარგვეთი | 25 | 11 | 1 | 13 | 39:54 | 34 |
| თსუ | 26 | 8 | 8 | 10 | 34:32 | 32 |
| დილა | 26 | 8 | 7 | 11 | 24:30 | 31 |
| გურია | 26 | 9 | 3 | 14 | 30:52 | 30 |
| სიონი | 26 | 8 | 5 | 13 | 21:35 | 29 |
| სამგურალი | 25 | 8 | 4 | 13 | 26:45 | 28 |
| სამტრედია | 26 | 8 | 3 | 15 | 24:47 | 27 |
| კახეთი | 26 | 9 | 1 | 16 | 24:51 | 23 |
| გორდა | 25 | 7 | 2 | 16 | 31:50 | 23 |
| ივერია | 26 | 5 | 6 | 15 | 19:45 | 21 |

## შვიდ მილიონს კაპიკი არ დააკლდება

### ამბობს ფრენსის ლი

## ფალიანი ფულიანებმა წაიყვანეს

მეოთხე წელია, რამაზ ფალიანი რუსეთის სახელით ასპარეზობს, მაგრამ შარშან, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ რამაზმა გული აიცრუა რუსეთის ნაკრებზე, არც კრივის იქაური მესვეურები და ნაკრების ხელმძღვანელები სწყალობდნენ ჩვენებურს. დასამალიც არ არის, რამაზ ფალიანის ნიჭისა და გაქანების მქონე მოკრივეს რომ ეკუთვნოდა, იმგვარ გასამრჯელოსაც არ უხდიდნენ რუსები, ჰოდა, ფალიანმაც საბოლოოდ უგანა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს.

უცხოელებმა, რაკი გაიგეს, ფალიანი რუსეთში აღარ მიდის და არც საქართველოში აპირებს დაბრუნებასო, მისი თავ-თავიანთ ქვეყანაში წაყვანა დააპირეს — იტალიელი, კანადელი თუ ბერძენი მენეჯერები შეეხმიანენ რამაზ ფალიანს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ბერძნებს ყველასთვის უჯობნიათ და ჩვენებური დაუყოლიებიათ — ამიერიდან რამაზ ფალიანი საბერძნეთის სახელით იასპარეზებს.

UEFA UNDER-16 Championship

## ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი

მატჩი მესამე ადგილისთვის

გერმანია 3:1 შვეიცარია

ფინალი

ესპანეთი — ავსტრია

დღეს გაიმართება

**წუხელ**

## გერმანიის ჩემპიონატი

31-ე ტური. დუისბურგი — ჰანზა 0:1, ვერდერი— კიოლნი 3:2

## სამი ქართველი ოქროსთვის იბრძვის, სამიც — ბრინჯაოსთვის, ორი კი უმედლოდ დაგვირჩა

**მერაბ რატიშვილი**

ოსტენდედან



გიორგი ვაზაგაშვილის (71 კგ) ოსტენდეში ჭიდაობას ერთი სიტყვა შეიძლება ეწოდოს — ბრწყინვალე! ვაზაგაშვილი თავისთვის უჩვეულო წონით კატეგორიაში ასპარეზობს და ყველა მეტოქეზე ერთი თავით დაბალია. მარტო სიმაღლეს რა ჭკუა აქვსო, ნათქვამია, და გიორგიმაც დაამტკიცა ეს. პირველ წრეში თურქი ბექთაშ დემირელი ისეთ დღეში ჩააგდო, კაცი მისი საცოდაობით დაიწვებოდი. ჩვენებურმა საიდანაც მოინდომა, იქიდან დააგდო თურქი. მის ანგარიშზე 4 იუკო და ორი კოკა იყო. დამთავრებამდე 9 წამით ადრე კი უკნიდან ჩაჩეხა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა.

ვაზაგაშვილმა იუგოსლაველი ჟივან მიხაილოვიჩიც მაგრად ათრია. ჯერ კისრულზე ჩაუხტა და ვაზარი აართვა, დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი იგივე გაუკეთა და მეორე ვაზარით ასევე წმინდად მოიგო.

მესამე წრეში კი ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა — ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ბრიტანელი დანი კინგსტონი (შეგახსენებთ, ვაზაგაშვილიც კონტინენტის ჩემპიონია, ოღონდ 60 კგ-ში). თავიდან გიორგის ცოტათი გაუჭირდა ტანმაღალ ბრიტანელთან: ერთი-ორჯერ მუხლებზე დაეცა და შიდოთი გააფრთხილეს, მერე კინგსტონმა კოკაც აიღო და ამით დასრულდა მისი ზეობა. ვაზაგაშვილი ჯერ კისრულზე ჩაუხტა — ვაზარი. დამთავრებამდე ზუსტად 3 წუთით ადრე კი ბრიტანელს გვერდიდან ფეხი ამოარტყა, იპონზე გაშხლართა და ნახევარფინალში გავიდა. ხვალ იქ მისი მეტოქე პოლონელი რაფალ კოზიელევსკი იქნება. წარმატების შემთხვევაში კი ფინალში ლარიუკოვ (რუსეთი) — ბენტეშის (პორტუგალია) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

სეხნიაზე ნაკლებად არც მეორე გიორგიმ, რევაზიშვილმა (65 კგ), იასპარეზა. მანაც სამი იპონი მიითვალა და ნახევარფინალშია. პირველად ავსტრიელ ერნსტ ჰოფერს ეჭიდავა და დასაწყისშივე ფეხიდან აყვანით იუკო დაიმსახურა. შემდეგ ორივე გააფრთხილეს, მაგრამ მალე ჯღანამ კვლავ აიტაცა მეტოქე და იპონზეც დაახეთქა.

მეორე წრეში ლიტველი მარიუს პაულისი დაიბრიყვა: 27-ე წამზე ფეხი აულო, გაეკიდა, იპონმაც არ დააყოვნა. შემდეგი გამოცდილი უნგრელი ძიუდოისტი იოჟეფ ჩაკი იყო. არც ეს შეხვედრა გაგრძელებულა დიდხანს, ჯღანამ ჯერ საეჭვოდ მიღებული შიდო გაქვითა, მერე კი წითელ ხაზთან ფეხიდან აიყვანა ჩაკი და ისე მძლავრად დააგდო, რომ უნგრელი ერთხანს გაბრუებული იყო. ნახევარფინალში რევაზიშვილი შვედ გაბრიელ ბენგსტონს ხვდება, აქ მოგების შემთხვევაში კი ოზქან (თურქეთი) — ბენბოდაუდის (საფრანგეთი) წყვილში გამარჯვებულს.

ოქროს მედლისთვის ბრძოლას აგრძელებს ივერი ჯიქურაულიც (95 კგ), გიორგი წმინდაშვილს (86 კგ), ნესტორ ხერგიანს (60 კგ) და ალექსი დავითაშვილს (აბსოლუტური) კი ბრინჯაოს მოპოვების შანსი აქვთ.

სამწუხაროდ, ვისიც ყველაზე მეტი იმედი გვქონდა, სწორედ ისინი დაგვირჩნენ უმედლოდ — დავით ხახალეიშვილმა და სოსო ლიპარტელიანმა უკვე დაასრულეს ასპარეზობა.

# გროზნი კილასონიებით კმაყოფილია

ძმები კილასონიების „დნეპრში“ გადასვლის შემდეგ გიასა და ვარლამის ამბებს უმთავრესად „სპორტ-ექსპრესებიდან“ ვიგებდით. ვარლამი ტრავმის შემდეგ ძირითადში ხშირად თამაშობდა, გია კი მხოლოდ შეცვლებზე შემოჰყავდა დნეპროპეტროვსკელთა მთავარ მწვრთნელს ვიაჩესლავ გროზნის. ამან ეჭვი დაბადა, იქნებ უმცროსი კილასონია გროზნის გუნდს ვერ მოერგოო. ეს მცირე ხნით შინ ჩამოსული გიას ნათქვამმაც გაგვიძლიერა, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა გუნდიც შევიცვალოო. თუმცა, „დნეპრის“ მთავარ მწვრთნელთან საუბარმა ეჭვები გაგვიქარწყლა...

— მე კილასონიებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემპიონატის მსვლელობისას მათი მიწვევის მიზანშეწონილობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან.

**— თუ ასეა, გია ძირითადში რატომ არ თამაშობს?**

— მის ადგილზე ბელკინს ვაყენებ, რომელიც გიას ჩამოსვლამდე ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ გიამ ბოლო დროს ისე მოუმატა, რომ, ვფიქრობ, მალე დაიმკვიდრებს ადგილს ძირითადში. მისი მონდომება და პოტენცია ამის თქმის საშუალებას მაძლევს. ვარლამი კი, გეცოდინებათ, მუდამ ძირითადშია. ახლა ჩვენ სეზონის უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის ვემზადებით — 25 მაისს უკრაინის თასის ფინალში დონეცკის „შახტიორს“ ვხვდებით და ქართველებსაც ამ მატჩისთვის ვამზადებთ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ვარლამი ფინალში ერთ გოლს მაინც გაიტანს. საერთოდ, ძალიან მომწონს ქართველთა ჟინიანი და ტექნიკური თამაში, ამიტომაც დიდი სურვილი მაქვს, „დნეპრი“ თქვენებურებით კიდევ უფრო გავაძლიერო.

**— მაშ რატომ არ დაიტოვეთ გოჩა გუჯაბიძე?**

— გუჯაბიძე შეკრებაზე ვნახე და კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ფინანსური მოთხოვნები ვერ შევუსრულეთ.

**— „როსტსელმაშისთვის“ გადასახდელი 40 000 დოლარი გეძვირათ?**

— ცალკე ეს იყო და ცალკეც ის, რომ გოჩას მიერ წამოყენებული პირობების შესრულება არ შეგვეძლო. თუმცა, ვიმეორებ, ქართველი მოთამაშეებით „დნეპრის“ გაძლიერების დიდი სურვილი მაქვს.

**— გავიგეთ, რომ „სკონტოში“ მოთამაშე რეხვიაშვილისთვისაც დაგიდგამთ თვალი...**

— ამ მოთამაშით მართლაც დავინტერესდით, რადგან მასზე ბევრი კარგი მესმოდა. მართალია, ჯერ არც მასთან და არც ლატვიელებთან კონკრეტული საუბარი არ გაგვიმართავს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში რეხვიაშვილის თაობაზე „სკონტოსთან“ მოვილაპარაკებთ.

...მე თქვენი ქვეყნისა და ფეხბურთის დიდი ქომაგი ვარ, ამიტომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს ვურჩევდი, ნახონ ძმების თამაში. „დნეპრი“, ვგონებ, ხელწამოსაკრავი გუნდი არ უნდა იყოს. აქ საკმაოდ დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ მოთამაშეებს. ასეთი გუნდის მწვრთნელს კი, ალბათ, დამეჯერება, როცა ვამბობ, კილასონიები საგრძნობლად გაიზარდნენო. ჩემი აზრით, თქვენს ნაკრებს ვარლამისნაირი ფორვარდი არ აწყენდა, ყოველ შემთხვევაში მისი გასინჯვა მაინც. გიაც ფორმაშია და მალე ძირითადში თამაშსაც ვანდობ.

**მერაბ მამულაშვილი**



ვიაჩესლავ გროზნი ვარლამ და გიორგი კილასონიების გარემოცვაში

## ჩალაძემ მცველებს პირში ჩალა გამოავლო

უცნაური კონტრაქტი გაუფორმებია ჩალაძეს „სკონტოსთან“ ორ-სამ თამაშში გოლზე ნაკლები თუ გაიტანა, კლუბიდან დაითხოვენ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, რაც მისმა თამაშმა გვაფიქრებინა: პირველ ორ ტურში ჰეთ-თრიქის შემსრულებელმა მესამეში „ისე ველარ იყოჩაღა“ და ორ გოლსღა დასჯერდა. ბომბარდირთა სიაშიც 8 გოლის პატრონს ახლოსაც ვერავინ ეკარება. შორიახლოს ისევ ქართველი, „ვენტსპილსის“ არმაზ ჯელაძე ასდევნებია, რომლის ანგარიშზე ოთხი გოლია. ლატვიაშივე, ქალაქ ლიეპაიას „ოლიმპიაგი“ გადასულა შარშან უკრაინის „ტავრიაში“ მოთამაშე ივანე ჯუღელი, რომელმაც პირველივე შეხვედრაში ორი გოლის გატანით ისახელა თავი.

## გადახდა უნდა ვალსაო

სტავროპოლის „დინამოს“ ჩვენებურს მამუკა ხუნდაძეს ვალი დასდებია, ოღონდ ეს მისდა უნებურად მომხდარა. ლიპეცკის „მეტალურგთან“ შიპილოვის მიერ გატანილი გოლი შეცდომით თურმე მამუკას მიაწერეს, რის გამოც ხუნდაძე თანაგუნდელებისა და მაყურებლების წინაშე თავს მოვალედ თვლის და დიდი სურვილი ჰქონია, რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ნაღდად გაიტანოს.

## ფანცულაია ნივაში?

„სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, „ოდიშის“ მოთამაშე მამუკა ფანცულაია შესაძლოა უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ტერნოპოლის „ნივაში“ გადავიდეს. ინფორმაციის თანახმად, „ოდიში“ ფანცულაიას ჯერჯერობით არ უშვებს, „ნივას“ პრეზიდენტ ვლადიმერ მარტინოვსკის თქმით კი, ფანცულაიას მაისის ბოლომდე მოუწევს მოცდა. „ოდიშთან“ კონტრაქტი სწორედ მაისის ბოლოს უმთავრდება.

## გურამ ლორთქიფანიძის მემორიალი

თბილისში უკვე ტრადიციულად დამკვიდრდა ყოფილი ფეხბურთელის გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის გამართვა, რომლის ორგანიზატორებიც გურამის ბავშვობის მეგობრები გოჩა ჯამარაული, როინ კერძევაძე, მიშა ყაველაშვილი, ვასილ მაისურაძე და გუბაზ დოლიძე არიან. წლევანდელ ტურნირში 6 გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის — ისრაელის ბავშვთა გუნდი „გადნა“, ასე რომ, ტურნირს საერთაშორისოც შეიძლება ეწოდოს. მატჩები დილმის საწვრთნელ ბაზაზე მიმდინარეობდა, ფინალი კი ეროვნულ სტადიონზე გაიმართა — „ნორჩი დინამოელისა“ და „გადნას“ ორთაბრძოლა საინტერესო გამოდგა და სტუმართა გამარჯვებით — 2:0 დასრულდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ „გადნას“ ფეხბურთელები 1982 წლიანები — ჩვენებურებზე ერთი წლით უფროსნი იყვნენ. ტურნირის შემდეგ ფეხბურთელები პრიზებითაც წაახალისეს. საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი დინამოელ ირაკლი სამხარაძეს ერგო, საუკეთესო ნახევარმცველად კი სწორედ ის იუდა ჯანაშვილი დაასახელეს, რომლის მამამ მომღერალმა მორის ჯანაშვილმა „გადნას“ თბილისში ჩამოყვანა ითავა და სამომავლოდ ინგლისისა და გერმანიის ბავშვთა გუნდების ჩამოყვანასაც აპირებს.

გოგი ახვლედიანის

### სვეტი

## გულშემატკივრის ცნობარი

(ნაწყვეტი)

ამიერიდან კარგად ვიცი, როგორ მოვიქცე სტადიონზე.

უფრო სწორად, ვიცი, რა არის საჭირო იმისთვის, რომ გუნდმა ქომაგის მხარდაჭერა იგრძნოს.

ამისათვის უპირველესად ის არის საჭირო, რომ ქომაგმა ანალიტიკოსობას არ მიჰყოს ხელი და საყვარელი გუნდის ავ-კარგის გარჩევას სტადიონზევე, თამაშის მსვლელობისას არ მოჰყვეს. სტადიონზე გუნდს მხარდაჭერა უფრო სჭირდება ვიდრე ანალიზი და კომენტარი.

რაზან გულშემატკივარი ანალიტიკოსობას შეეშვება, ამით ნახევარი საქმე მოთავებული იქნება. მეორე უმთავრესი რამ, რაც ჩვენს ქომაგთა შორის უნდა დაინერგოს, ის არის, რომ კაცმა უნდა შეიგნოს: საყვარელი გუნდის ფეხბურთელის გინება ოფსაიდის, ან წახდენილი მომენტის გამო, რბილად რომ ვთქვათ, სირცხვილია.

გუნდი გიყვარს და ფეხბურთელი არა? ფეხბურთელი შენგან მხარდაჭერას ელის, შენ კი მხოლოდ მაშინ შემოჰკრავ ტაშს, როცა გუნდი გოლს გაიტანს, ან ორი ბურთით მაინც იგებს. საქართველოს ნაკრებს საყვედურობენ ხოლმე, უკანდახეულად ირჯება და სითამამე აკლიაო. საქართველოს ნაკრები ზუსტად იმგვარად ირჯება მოედანზე, როგორც სტადიონი ამხნევებს.

ესეც არ იყოს, ფეხბურთელი გამუდმებით უნდა გრძნობდეს ზურგსუკან ვიღაცას. ლონდონში ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა მითხრა, „დინამოს“ სტადიონზე მეკარეს რომ ბურთს ვუბრუნებ, მისტვენენ, არადა ეს ბოლო პასი, ფაქტიურად ახალი შეტევის დასაწყისია და სხვა არაფერი.

მესამე ის არის, რომ საყვარელ გუნდს გამარჯვებისთვის მწვრთნელებთან ერთად ქომაგებიც განაწყობენ. აი, მაგალითად, უემბლიზე...

ძალიან არ მინდოდა მეხსენებინა ეს სიტყვა, იმიტომ რომ ვინმე მაინც იტყვის, აგე წავიდა, ჩამოვიდა, გაიფხორა და ჭკუას გვასწავლისო, თანაც, ჩვენ ხომ ინგლისელ გულშემატკივრებს ხულიგნებად ვთვლით.

მაგრამ მაინც ვიტყვი:

უემბლის ტრიბუნებზე ყველაზე მთვრალმა, ყველაზე კისერაპარსულმა, ყველაზე სვირინგიანმა და საყურიანმა ფანმაც ფრიადზე იცის, როგორ, რა დროს და რანაირად შეუძახოს თავის გუნდს. ჩვენ გოლს ველოდებით, მათ კი თავისი წილი უდევთ გოლებში.

გარეუბან ჩარლტონში, ველის პატარა სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფრე გამოგლიჯა მასპინძლებს. ინგლისელებმა არცთუ შინაარსიანად ითამაშეს, მაგრამ ჩარლტონელ ქომაგებს ერთი FUCK რაა, ისიც არ წამოცდენიათ — თამაში CAME ON, COME ON-ის ძახილსა და სიმღერაში გალიეს.

ესაც არ იყოს და იქაური გულშემატკივარი უფრო თამაშს აქცევს ყურადღებას, ვიდრე იქედან გამომდინარე ამბებს. იმავ ჩარლტონულ მატჩში იყო მომენტი, როცა ინგლისელებმა ჯარიმა ჩააწოდეს ჩვენს საჯარიმოში და ბურთი ქართველ მცველს მოხვდა ხელზე. მსაჯმა პენალტი ვერ დაინახა და თამაში განაგრძეთო ანიშნა. სტადიონმა ამოიგმინა — ეს იყო და ეს, მერე კი „ENGLAND, ENGLAND“-ის ძახილს მოჰყვა, რათა უპენალტოდ დარჩენილი თანამემამულეები გაემხნევებინა.

სანამ კომუნისტების ქვეყანაში ვცხოვრობდით, მე პირადად მეგონა, რომ ფეხბურთსაც კარგად ვთამაშობდით და გულშემატკივრობა-გუგუნში საერთოდ არ გვყავდა ბადალი. ახლა კი მგონია, რომ, რაზან ჩვენი გუნდების ნაკლს ვხედავთ, საერთაშორისო გულშემატკივრობის ანბანიც უნდა ვისწავლოთ.

თორემ, მოედანზე მყოფთ რომ ვუწუნებთ სითამამეს და ცოლნას, ცოტაოდენი ოფლი ჩვენც უნდა დავღვაროთ. წინ მოლდოველებთან და პოლონელებთან მატჩებია, ნუთუ არ მოელით ქართველთა გოლებს? ერთად უნდა გავიტანოთ ამ ციკლის პირველი გოლი.

**ტორპედო 3:0 სამტრედია**

ქუთაისი. სტადიონი „გივი კილაძე“
**ტორპედო:** კიკალეიშვილი, ხვადაგიანი (ს. გიგიაძე 75), თურმანიძე, შ. ხუჯაძე, შენგელია, მარღიშვილი, კვეტენაძე, ქებაძე, კ. მეტრეველი (მ. მეგრელაძე 60), აშვეთია (ვ. გიგიაძე 79), ვაჩიბერაძე
**სამტრედია:** სტურუა, ფრანგიშვილი, გეგეშიძე, ვეკუა, პავლიაშვილი, გ. ქელიძე, შ. ჩომახიძე, ცომაია, მარკოზია, ივერიანი, დარსაძე
1:0 მეტრეველი (6), 2:0 კვეტენაძე (54), 3:0 მეგრელაძე (89)
**გაფრთხილება:** გეგეშიძე, ფრანგიშვილი, ხვადაგიანი
**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (თბილისი)

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

მატჩის დღეს დილის 10 საათისთვის ქუთაისის სტადიონს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა თანხლებით უეფას წარმომადგენლები — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორი შვეიცარიელი ერიხ ეპლე და სპორტნაგებობათა კომიტეტის წევრი სლოვენიელი განე იოსტი ეწვივნენ. მოახლოებული ევროტურნირების წინ სტუმრები ჩვენი სტადიონების მზადყოფნას ამოწმებენ და „გივი კილაძეც“ სწორედ ამ მიზნით მოინახულეს. მართალია, აქ მოთამაშე „ტორპედოს“ წინა ტურში ფოთში განცდილი მარცხის შემდეგ ევროპაში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი შემორჩა, მაგრამ უეფას ექსპერტთა მითითებები სამომავლოდ მაინც იქნება გასათვალისწინებელი. ისე კი, „ტორპედოს“ მესვეურებს სიტყვაზე თუ ვენდობით, ერიხ ეპლეს შეკითხვაზე, აქაურობის მოსაწესრიგებლად რამდენი დრო დაგჭირდებათო, თავდაჯერებით მიუგეს, ერთი თვეო. ღმერთმაც ქნას. ქუთაისიდან უეფას წარმომადგენლები ფოთს გაემგზავრნენ.

„სამტრედიასთან“ (გუნდი ახალმა მწვრთნელმა, წარსულში სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფორვარდმა გიორგი შენგელიამ გამოიყვანა) თამაში მასპინძლებს ოდნავაც არ გასჭირვებიათ. მთელი 90 წუთის განმავლობაში ისინი მინდვრის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ. 3:0, რა თქმა უნდა, თავისთავად

## სამი გოლი, პრა[illegible]

მეტყველებს ძალთა თანაფარდობაზე, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ანგარიში სულაც არ ასახავს მატჩის რეალურ სურათს.

ქუთათურებს ორნიშნა ანგარიშითაც უნდა მოეგოთ, მაგრამ, ხან სამტრედიელთა მეკარე ვაჟკაცობდა, ხან კი იღბალი აქცევდათ ზურგს. შესვენებამდე მარტო მეტრეველმა, რომელიც თავდასხმის ცენტრში თამაშობდა, ოთხი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა, როცა ვაჩიბერაძემ მარცხნიდან კარის გამწვრივ ჩააწოდა. 31-ე წუთზე სტურუა კარიდან წინ გამოვიდა, აშვეთიაც სახიფათოდ უტევდა და თითქოს გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც მეკარემ იმარჯვა. ორიოდ წუთში სტურუა კვეტენაძის ძლიერ დარტყმულსაც ადგილზე დახვდა. ტაიმის ბოლოს აშვეთია მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და კარგადაც დაარტყა, ამჯერად კარი ძელმა იხსნა.

მეორე ნახევარში საგოლე მომენტების თვლა დავიწყე და „სამტრედიის“ კართან ასეთი რვა მომენტი ჩავინიშნე. ეს იმათ გარდა, კვეტენაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან და მეგრელაძემ ახლოდან თავურით რომ გაიტანეს. ძალიან კი მინდოდა სტუმართა ერთი, ხეირიანი კომბინაციის ხილვა, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა.

და ბოლოს, ერთ დასამახსოვრებელ ფაქტს აღვნიშნავ: გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი რუსთავის „გორდა“ ამ დღეს ბათუმში თამაშობდა. მათი პრეზიდენტი რევაზ ჩელებაძე და მწვრთნელი იასონ ალადაშვილი ალბათ იქ ბათუმში უფრო იყვნენ საჭირონი, მაგრამ ისინი ქუთაისში ბრძანდებოდნენ. რა მიზნით? საიდუმლოს, ალბათ, 11 მაისს აეხდება ფარდა, მაშინ, როცა „გორდა“ რუსთავში „ტორპედოს“ უმასპინძლებს.

**მეორე ჯგუფი**

დასავლეთის ზონა

**მერცხალი 1:0 მეშახტე**

ოზურგეთი. სტადიონი „მეგობრობა“
**მერცხალი:** როხაძე, კ. ღლონტი, კ. ტულუში, გიორგაძე, თოხაძე (ზ. დოლიძე 73), ქუტიძე, გ. ნიჟნიკაძე, მჟავანაძე, დუმბაძე, ჩიგოგიძე, ბერაძე (გ. ტულუში 86)
**მეშახტე:** ვარდანიძე, გ. კალანდაძე, რ. პატარიძე, სოფრომაძე, მ. ბოჭორიშვილი, შ. ბოჭორიშვილი, დევიძე (ავალიშვილი 82), ჩიტალაძე (შარაბიძე 70), კირკიტაძე, კანკია, კალატოზი
1:0 დოლიძე (88)
**გაფრთხილება:** კანკია
**გაძევება:** შ. ბოჭორიშვილი
**მსაჯი:** შ. ხანიაშვილი (თბილისი)

**იუზა კაციტაძე ოზურგეთიდან**

თითქმის მთელი თამაში ოზურგეთელთა სცენარით წარიმართა. „მერცხალი“ გამუდმებით უტევდა, „მეშახტე“ კი მთელი ძალებით იცავდა თავს. ასე იყო თავიდანვე. ჩიგოგიძემ პირველ ტაიმში სამი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ორჯერ მას კარგად მოთამაშე ვარდანიძემ შეუშალა ხელი. ამასობაში სტუმრებსაც შეეძლოთ მასპინძლების დასჯა, მაგრამ საჯარიმოში შესულმა დევიძემ მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება რომ სცადა, კარს გადააცილა.

მეორე ტაიმშიც თამაში უმეტესად „მეშახტეს“ ნახევარზე მიმდინარეობდა. დუმბაძემ, მჟავანაძე, ჩიგოგიძემ და ნიჟნიკაძემ არაერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, რისთვისაც ლამის დაისაჯნენ. ტყიბულელებმა მეტოქე კონტრშეტევაზე რომ დაიჭირეს, კანკიას მიერ დარტყმული ჯარიმა მეკარემ მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთის გასატანად კალატოზი და დევიძე იბრძოდნენ, მაგრამ ერთმანეთს შეუშალეს ხელი.

87-ე წუთზე ტყიბულელებს მასპინძელთა იმედების დასამარება შეეძლოთ, მაგრამ საქმე უკუღმა შეუტრიალდათ. მეტოქის მოედანზე ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ შარაბიძეს თანამსაჯმა კალანდიამ შეტევის გაგრძელება არ დააცალა, თამაშგარე იყოო. ერთ წუთში კი მალხაზ ბოჭორიშვილს ბურთი ჩამოართვეს, როცა მისი მიწოდებული აუტი კანკიამ გვერდით ხაზს გარეთ ხელში დაიჭირა. ბურთი თამაშში შევიდა თუ არა ძნელი გასარკვევია. არადა, სტუმრებს ერთ წუთში გვერდით მსაჯ შალამბერიძესთან სწორედ ამის მტკიცება მოუწიათ, რადგან ოზურგეთელთა მიერ მიწოდებული აუტისას მინდვრიდან ამხტარი ბურთი დოლიძემ გაიტანა. ტყიბულელებმა სიმართლის გარკვევა სცადეს, რასაც ფუჭი ენერგია და ხუთიოდ წუთი შეალიეს. ამასობაში კი განახლებული თამაშიც მალე მორჩა, რაკი გოლი დამატებულ დროში გავიდა და მასპინძელთა ქომაგებმა გამარჯვება იზეიმეს. ისე დასანანი კია, ტყიბულელთა ბედი ასეთმა სადაო გოლმა რომ გადაწყვიტა — ისინი ამას ნამდვილად არ იმსახურებდნენ.

## დაუმსახურებელი წაგება


**იყიდება**

4-ოთახიანი ტიპიური სუფთა ბინა დიღმის მასივში, III კვარტალში. დიდი სარდაფით, ტელეფონით.

საწყისი ფასი 25 000 დოლარი

72 37 22

**იყიდება სასწრაფოდ**

3-ოთახიანი ჩეხური პროექტის კუთხის ბინა დიდ დიღომში

ფასი 7 500 დოლარი

66 48 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 25 ტური

ბომბარდირები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1- | მიხეილ აშვეთია | ტორპედო | 20 |
| | დავით უჯმაჯურიძე | ბათუმი | 20 |
| 3- | გიორგი დემეტრაძე | დინამო | 19 |
| 4- | მერაბ მეგრელაძე | ტორპედო | 14 |
| 5- | ვლადიმერ გაბედავა | ოდიში | 13 |
| 6- | დათო გოდერძიშვილი | მერანი | 12 |

**ოდიში 0:2 მერანი**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი
**ოდიში:** გაბელია, ვახანია, ჭურლულია, კუტალია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჯოჯუა, ნიტაიშვილი (იოსავა 44), გაბედავა, კალანდაძე
**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი, ქველაძე, გოგიბერიშვილი (ჯიშკარიანი 67), კაკუბავა, გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია (დანელია 46), გოგიტაძე, ბ. ამბიძე
1:0 ქორიძე (30 პ), 2:0 გაბისონია (43)
გაბისონიამ ვერ გაიტანა პენალტი (42)
**გაფრთხილება:** დანელია
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**ვახტანგ ბზიკაძე ზუგდიდიდან**

# თვითმფრინავამდე

„ოდიშმა" თბილისელებს ნაღდი ბრძოლა შესთავაზა, იმათ გასაწბილებლად, ვისაც ეგონა, თამაშს დაუთმობსო. ასე ალბათ იმიტომ ფიქრობდნენ, რომ თუ არა მინუს ხუთი ქულა, ზუგდიდელებს I ჯგუფიდან ველარაფერი გაადებთ. ეს „ოდიშის" ქომაგთაც ეტყობოდათ, რომელთაც მაინცდამაინც არ უნერვიულიათ. ისე, ფეხბურთმა გუშინწინ ერთი გულშემატკივრის სიცოცხლე ლამის შეიწირა. თუმცა, ეს მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე მოხდა, როცა შემთვრალი მხცოვანი სამმეტრიანი ტრიბუნიდან გადმოვარდა და ძლივსღა მოასულიერეს. რაც შეეხება სტადიონზე უფრო მოგვიანებით მოსულთ, „მერანმა" თუ „ოდიშის" მცველებმა მალე დაამშვიდეს და რამდენიმემღა გამოთქვა მატჩის შემდეგ პრეტენზია: რა არის, შინაც რომ ვაგებთ და გარეთაცო?

წინდაწინ ვიტყვი, „ოდიში" „მერანს" „კახეთზე" ოდნავ მობილიზებული შეხვდა. თუკი თელავში გუნდი სათამაშოდ მესამე მწვრთნელმა ელგუჯა ქომეთიანმა გაიყვანა, ამჯერად მთავარი მწვრთნელის მაგივრობა მეორემ, ბადრი თუთბერიძემ გასწია. სად იყო ხურცილავა? ოფიციალური და არაოფიციალური ვერსია ერთია: „ოდიშის" საბოლოო ადგილი ამ ჩემპიონატში თითქმის გარკვეულია. ამიტომ მურთაზ ხურცილავა საგაისო სელექციას შეუდგაო. „ოდიშის" მწვრთნელმა წინა ტურში თუ „სამტრედია" — „ბათუმი" დაზვერა, ამჯერად თსუ — „კახეთს" დაჰკვირვებია.

უხურცილავო „ოდიშს" აბუსერიძე, ჭედია, კვიტატიანი, ფანცულაია და წელმტკივანი გუჩუაც აკლდნენ. ესენი ბოლო თამაშებში აღარც მონაწილეობენ, რაც, ეტყობა, „ოდიშის" ახალი საკადრო პოლიტიკის შედეგია.

ეს მატჩი, წესით, თბილისელ მერაბ მალალურაძეს უნდა ემსაჯა, მაგრამ რაკი ოთხი დღის წინ ფოთში უმძიმესი მატჩი „კოლხეთი" — „ტორპედო" იმსაჯა, იგი თბილისელივე სოსო კახიანით შეცვალეს. შემთხვევით ზუგდიდამდე კახიანს დავემგზავრე და, ბუნებრივია, მინიავტობუსი უფეხბურთობით არ მოვაწყინეთ. სწორედ მაშინ იყო, კახიანი რომ გამომიტყდა, არ მესმის, მსაჯს რომ უჩივიან, ერთ მატჩში სამ პენალტი როგორ დადოო. თუ დასანიშნია, პენალტი ათიც რომ იყოს, უნდა დანიშნოო. ისე ყველაფერი აგიხდეთ, სოსო კახიანმა დანაქადნი რომ აიხდინა. პირველ ტაიმშივე ჯერ ბარქაია — ბახვა ამბიძის და მერე მიქაძე — გაბისონიას უხეში ბრძოლისას არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტები. იყო და, სხვა რა ექნა?

პირველი თერთმეტმეტრიანი გელა ქორიძემ მშვიდად გაიტანა, მეორე კი, გაბისონიას მოპოვებული რომ იყო, მანვე შუაში დაარტყა და ოთარ გაბელიას ვაჟს, გიორგის ამ თამაშში თავის გამოჩენის პირველი შანსი მისცა. რამდენიმე წუთში გელა გაბისონიამ თავისი შეცდომა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე თავით დასწრებაზე თამაშით გამოასწორა. ამის შემდეგაც ერთობ იაქტიურა და ზუგდიდელი მცველები საშინელ დღეში ამყოფა. შეცვლილი გაბისონია ძველმა ქომაგებმა ტაშით გააცილეს და მანაც ესტაფეტა გოდერძიშვილს გადასცა. ახლა ამან დატანჯა ჭურლულია-ბარქაია-მიქაძის ტრიო, მაგრამ მეტად ველარ იხეირა. მეორე ტაიმში „ოდიშიც" უკეთ ათამაშდა, ერთობ იაქტიურა გაბედავამ, მანვე, კალანდაძემ და მიქაძემ რამდენჯერმე შეაწუხეს მერანელთა მეკარე, მაგრამ ხასიათი ველარ გაუფუჭეს.

მატჩის შემდეგ თბილისელებმა „ტორპედოს" ანგარიშიც გაიგეს, მაგრამ მაინც თავდაჯერებით თქვეს, მგონი, უკვე გავედით ევროთასებზეო. მხოლოდ გუბაზ დოლიძე ჩანდა რეალისტად. შარშან რუსთავში „მარგვეთთან" წაგებისას ისეთი მწარე გამოცდილება მივიღე, ახლაც მახსოვს და სანამ თვითმფრინავში არ ჩავჯდები, ვერ დავიჯერებ, რომ ევროტურნირზე გავედითო.

**დილა 1:0 კოლხეთი**

გორი. ცენტრალური სტადიონი
**დილა:** ვოლკოვი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (ჯალაბაძე 79), ჯ. გაგნიძე, ტაბატაძე, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, ნკრიალაშვილი, რევაზიშვილი (გუდურაშვილი 90), კაიდარაშვილი, ფხალაძე (აკოფიანი 86)
**კოლხეთი:** გოგუა, ინიაშვილი (თიბილაშვილი 53), კაკაჩია, გიორგაძე, ტორჩინავა, ლალანიძე (ბულუხია 78), ფანჩულიძე, დ. მახარაძე, გვასალია, დარასელია, მ. ქობულაძე
1:0 ხაჭაპურიძე (45)
**გაფრთხილება:** ხაჭაპურიძე, ფეზუაშვილი, ფანჩულიძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვანტალიანი**
**გორიდან**



გიორგი რევაზიშვილს ვალერი ტორჩინავა მეურვეობს

# მერცხლი გორში დაიკარგა

გორელებს აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ. ერთი წაფორხილება და ჯგუფის დატოვების რეალური კანდიდატები ხდებოდნენ. მეტოქედ კი საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი გუნდი ელოდათ, რომელიც ჩემპიონატის ფინიშზე ვერცხლს ეპოტინება. თავის მხრივ, ფოთელები გორში სამი ქულის ასაღებად ჩავიდნენ და ამას საჯაროდაც აცხადებდნენ. გორელებს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. თარხნიშვილი, მჭედლიშვილი და გვაზავა ორ-ორი გაფრთხილების გამო ვერ თამაშობდნენ. ტრავმიანი გამოვიდა ფეზუაშვილი, რევაზიშვილი კი ერთი დღის მოშუშებული იყო. მასპინძელთა ახალგაზრდული შემადგენლობა მწვრთნელებმა კიდევ უფრო გააახალგაზრდავეს და საბრძოლველად მიუშვეს. თითქოს უიმედო მდგომარეობა ჰქონდათ, მაგრამ აკი თქმულა, გაჭირვება მანახე და გაქცევას გაჩვენებო. გორელებმა კარგად უწყოდნენ, რომ დარასელია მხარნალრძობი ითამაშებდა. ისიც იცოდნენ, რომ ფოთელებს არ ეყოლებოდათ მიქაბერიძე, სოლოლაშვილი და გოროზია. ეს სამი მოთამაშე სტუმართათვის დიდ ძალას წარმოადგენს. ამ მხრივ მეტოქენი ერთნაირ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მასპინძლებმა ყოველივე გაითვალისწინეს და მოსაგებად ყველაფერი გამოიყენეს, ჟინიანი ბრძოლით დაწყებული, პატარა საფეხბურთო ეშმაკობებით დამთავრებული. თავიდანვე ხისტი ბრძოლა გაჩაღდა. მასპინძელთა ახალგაზრდობა არც საკუთარ თავს ზოგავდა, არც მეტოქის ფეხებს. ამან სტუმრები, ცოტა არ იყოს, დააშინა, მაგრამ თამაშის დასაწყისი გორელებს კარგს არაფერს უქადდა. მხარ-ხელშეხვეულმა დარასელიამ თხუთმეტწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეუქმნა ხელსაყრელი ვითარება ლალანიძეს, მაგრამ მისი დარტყმები ვოლკოვმა მოიგერია. ამ დროისთვის სტუმართა უპირატესობა, განსაკუთრებით თამაშის ორგანიზაციაში, აშკარა გახლდათ. გორელებმა შეძლეს ბურთაობის საპირისპირო მხარეს გადატანა. ტემპმაც საგრძნობლად იმატა. მიუხედავად ამისა, ტაიმი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ხაჭაპურიძემ არ მოისვენა. ამ მონდომებულმა ფეხბურთელმა ბოლო წუთზე იმდენი ქნა, სტუმართა საჯარიმოსთან ჯარიმა დაიმსახურა. ხვიჩა გაგნიძის დარტყმული კედლიდან ასხლტა და ხაჭაპურიძეს მიუგორდა, მარტოდ დარჩენილმა ნახევარმცველმა გოგუას შორეულ კუთხეში მშვიდად გაუტანა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა კაიდარაშვილის და რევაზიშვილის თავგანწირვის ფასად მეტოქე დაჩაგრეს. კარის წინ ეულად დარჩენილმა მარეხაშვილმა ხელსაყრელი მომენტიც გააცუდა. უპირატესობა თითქოს გორელებისა იყო, მაგრამ დარასელიამ ისინი კინაღამ დაღუპა. მესამედი ძალით მოთამაშემ მახარაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. ისევ ვოლკოვმა ივარგა და დათოს პირში ჩალა გამოავლო. საპირისპირო შეტევა კი კინაღამ გოლით დასრულდა. რევაზიშვილს შეეძლო დაძაბულობა გაენელებინა და თავისიანები დაემშვიდებინა. მარეხაშვილის პასის მერე მცველებს დაუსხლტა და გოგუას ჭვინტით დაურტყა. ბურთი ხარიხას ოდნავ გადასცდა. ბოლო წუთები სოსო ვაშაკიძემ ცვლილებებით გალია და ფოთელთა ოცნება, ჩემპიონატი მეორე საფეხურზე დაესრულებინათ, გორში დასამარდა. კოლხებს ახლა იმაზე მოუწევთ თავის მტვრევა, როგორმე მესამე ადგილი შეინარჩუნონ.

**თსუ 2:0 კახეთი**

თბილისი. სტადიონი „შევარდენი"
**თსუ:** ბათიაშვილი, გიორგი ქორიძე (სულთანოვი 83), ვერემჩუკი, კობიაშვილი, თელიაშვილი, კანკავა, ნ. მინდიაშვილი, კობესაშვილი, ჩიგოშვილი (ზ. გვაზავა 84), მელქაძე, როსტიაშვილი (გაგუა 81)
**კახეთი:** ასლანაძე, ვ. ალადაშვილი, ნიკლაური, ტარულაშვილი (ლვინიაშვილი 46), ჯაკაევი, ფოფხაძე, მაზანაშვილი, ჯაშიაშვილი, შონია, ბაბულაიძე, ტოკლიკიშვილი (მესხიძე 46)
1:0 კობესაშვილი (27), 2:0 ჩიგოშვილი (67)
**გაფრთხილება:** ნიკლაური, შონია
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**კობა ინასარიძე**

# თსუ სხვის საქმეს გააკეთებს

თბილისელებს, შეიძლება ითქვას, თავი ქუდში აქვთ. არც ჯგუფიდან გავარდნის საშიშროება ემუქრებათ და ლიდერებთან მიახლოების შანსიც აღარ აქვთ. მოკლედ, მათთვის დანარჩენ მატჩებს პრაქტიკული მნიშვნელობა ნაკლებად ექნება. თუმცა, ამათი მონაწილეობით გასამართი თამაშები სხვა გუნდებისთვის არის საინტერესო, თუნდაც ლიდერებისთვის, ბოლოსწინა ტურში ხომ თსუ „კოლხეთს" მასპინძლობს და ინტრიგა მერე ნახეთ. რაც შეეხება „კახეთს", ამათი საქმე ისე ცუდადაა, რომ მხოლოდ სასწაული თუ იხსნის ჯგუფიდან გავარდნისგან. დარჩენილი ოთხი მატჩიდან თითო „დინამოსთან" და „მერანთან" აქვს სათამაშო.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას თსუ ფლობდა, თუმცა კახელებიც არანკლებ უტევდნენ და ცოტა ჭკვიანურად რომ ეთამაშათ თავდასხმაში, გოლს უეჭველად გააჩერხებდნენ. თუნდაც მაშინ, როცა შონიას მიერ მარცხიდან ჩაწოდებულ ბურთს მასპინძელმა მცველებმა თვალი გააყოლეს და მაზანაშვილს თავი რომ დაეხვედრებინა, ბათიაშვილი ბურთის ამღები არ იყო. მანამდე კი თბილისელმა ქორიძემ ისეთი მომენტი ვერ გამოიყენა, მაზანაშვილისა ამასთან მონაგონი გახლდათ: როსტიაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ასლანაძემ ხელი წაარტყა ბურთს და, ფაქტობრივად, ცარიელი კარის წინ მყოფ ქორიძეს მიუგორა, ამის დარტყმული კი ზემოდან გადასცდა კარს. შემდეგ თელიაშვილი ურტყამდა, ასლანაძემ გაჭირვებით მოიგერია. 27-ე წუთზე კი როსტიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებული კობესაშვილმა გოლად აქცია. პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა. შესვენების შემდეგ ჯანელიძემ ორი მოთამაშე შეცვალა და სტუმრებიც შესამჩნევად გააქტიურდნენ. მაზანაშვილს, ჯიკაევს, ბაბულაიძეს სახეირო მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ ხან ბათიაშვილი ყოჩაღობდა, ხანაც კახელები სცოდავდნენ, ზოგჯერ კი მცველები თავის საქმესაც ხეირიანად აკეთებდნენ და თანაგუნდელ თავდამსხმელებსაც უადვილებდნენ „კახეთის" კართან მიახლოებას — გრძელი პასებით ამარაგებდნენ ქორიძეს და როსტიაშვილს, რომლებმაც ბევრჯერ ვერ შეიშნოვეს ჩინებული გადაცემები და ისეთი მომენტები გააცუდეს, რომელთა ვერგატანა გატანაზე ძნელი იყო. თუმცა, მეორე გოლი ისეთი გავიდა, არავის რომ წარმოედგინა. მელქაძემ მარცხნიდან საჯარიმო ჩააწოდა, ქორიძემ ჩიგოშვილს დაუგდო, ამან კი საჯარიმოს ხაზიდან ისე წაარტყა ბურთს, ვერც მცველებმა და ვერც ასლანაძემ ვერაფერი მოახერხეს. ბურთიც მეკარისგან შორეულ კუთხეში შეგორდა. ამის შემდეგ „კახეთი" გატყდა, მატჩის გადარჩენის შანსი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა და თამაშიც დაწყნარდა. თუმცა, ბოლო წუთზე სტუმრები ისევ ანერვიულდნენ, როცა პირისპირ გასულმა გვაზავამ ცარიელ კარს აცილა ბურთი.



საჯარიმოს გარეთ ასლანაძე თავითაც თამაშობდა

**იბერია 0:1 დინამო**

ხაშური. სტადიონი „გრიგოლ ჯომართიძე"
**იბერია:** აბაშიძე, ნეკრაშვილი, შ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე, ვეშაპიძე (ზარქაძე 58), ხარაზიშვილი, ტყემელაძე, ჩადუნელი, კალმახელიძე (შ. მელაძე 84), წივწივაძე, თორია (თაბაგარი 70)
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ჯელაძე, დოდავა, ცქიტიშვილი, გემეხაშვილი, ყიზილაშვილი, გიგი კვარაცხელია, ხომერიკი (კურძევაძე 69), ანჩაბაძე, დემეტრაძე
0:1 კვარაცხელია (80)
**გაფრთხილება:** დიდავა
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**მერაბ მამულაშვილი**
**ხაშურიდან**

# ჯაგას გული წაუვიდა

ჯგუფიდან გავარდნის საფრთხემ ხაშურელი მოთამაშეები უჩვეულოდ მობილიზებული და შემართული გახადა. სხვა გამოსავალი ქართლელებს არც აქვთ. აწი ყველა დარჩენილ შეხვედრაში, ლიდერებთანაც და მათსავით აუტსაიდერებთან, გამარჯვებაზე უნდა იფიქრონ. ერთთან ყველაზე სახიფათოსთან უკვე მოეცარათ ხელი. თუმცა კი, პირველ ტაიმში ზოიძეს რამდენჯერმე სახიფათო მომენტიც შეუქმნეს. მომენტი კი არა, ხაშურელებმა პირველ ტაიმში „დინამოზე" უკეთ თუ არა, ნაკლებად მაინც არ ითამაშეს. ეს განსაკუთრებით სტუმართა პასიურობის ფონზე ჩანდა. ეტყობა, თბილისელები მცირე ძალისხმევით აპირებდნენ გამარჯვებას.

თამაში მე-16 წუთიდან გამოცოცხლდა. ამ წუთზე ჩადუნელი „დინამოს" საჯარიმოში შეჰყვა ბურთს და ცქიტიშვილთან ბრძოლისას მოედანზე განრთხმული აღმოჩნდა. მასპინძლები და მათი ქომაგები (სხვათა შორის, იმ დღეს საკმაოდ მშვიდნი, იმდენად უჩვეულოდ მშვიდნი, რომ მსაჯებს კომპლიმენტებსაც კი ესროდნენ) პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ კვარაცხელიამ სხვაგვარად განსაჯა და ჩადუნელის მხრიდან სიმულაცია დააფიქსირა. მასპინძლები ამის შემდეგაც უტევდნენ ზოიძის კარს. მართალია, დინამოელები ამან დიდად არ აღელვა, მაგრამ რამდენჯერმე მაინც შეცდნენ და რომ არა ხაშურელთა უზუსტობა, საქმესაც გაირთულებდნენ. კალმახელიძემ თორიას და წივწივაძეს სახეირო პასები „უწილადა", მაგრამ პირველმა თაურით ძელს მოარტყა, ჰამლეტს კი ზოიძემ წამით დაასწრო. წივწივაძეს ლომიძის ჩაწოდებულზეც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ისევ ზოიძემ იყოჩაღა. პასიურობის მიუხედავად, „დინამოსაც" შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა დემეტრაძემ სამჯერ ვერ ივარგა, 37-ე წამზე კი ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ გაიტანა, სხვა შემთხვევაში აუცილებლად რომ შეაგდებდა — კარიდან ხუთიოდე მეტრში ეულად დარჩენილმა მეკარეს მოარტყა.

მასპინძელთა მწვრთნელისთვის ეს ცუდის მაუწყებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო. იცის ლაცაბიძემ, რომ მისი ბიჭები ერთ ტაიმზე მეტს ასეთ მეტოქეს ველარ გაუმკლავდებოდნენ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ გადაღლილ ხაშურელებს პირველი ტაიმის დარი მომენტები მეორეშიც შეექმნათ, ვერ გეტყვით, ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, ფაქტია, რომ ხაშურელთა სათადარიგოთა სკამზე უცებ დიდი ფუსფუსი ატყდა — თურმე გულშეწუხებულ მთავარ მწვრთნელს ასულიერებდნენ. ექიმთა ჩარევით ჯაგა კი მოფერიანდა, თუმცა საეჭვოა, ხასიათი გამოკეთებოდა. დინამოელები გააქტიურდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, ევაა, მხოლოდ ერთხელ იხეირეს. მთელი მატჩის უშეცდომოდ ჩამტარებელმა „იბერიას" მეკარე აბაშიძემ ყველაზე უმცროსი დინამოელის გივი კვარაცხელიას თაურზე რეაგირება ვერ მოასწრო და მასპინძელთა იმედები ამით გაქარწყლდა. მალევე ყიზილაშვილმა ანჩაბაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ამან ძელს მოარტყა.

მოკლედ, კლასმა ენთუზიაზმი დაამარცხა. თუმცა კი ხაშურელთა ბოლო თამაშების ხილვამ ერთი კითხვა გამიჩინა — აქამდე რატომ „მალავდნენ" იმ მონდომებას, რომლის უქონლობამაც ცალი ფეხი უკვე II ჯგუფში გადაადგმევინა?

## ინგლისი

### XXXVII ტური

### ბლექბერნი 0:0 მიდლსბრო

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა (რიპლი 73), შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, მაკკინლი, ბერგი, უორჰეარსტი (ფენტონი 73), პირსი, ფლიტკროფტი

**მიდლსბრო:** რობერტსი, პირსონი, ემერსონი, მასტო, ფლემინგი, ბლექმორი, ფესტა, სტამპი, ჰინეტი, ბეკი, ჟუნინიო

მასპინძლებმა მოპოვებული ქულით მომავალ წელს ადგილი დაჯავშნეს პრემიერლიგაში, მეტოქემ კი, თუ ინგლისის საფეხბურთო ელიტაში დარჩენა სურს, ბოლო მატჩიც უნდა მოიგოს. „მიდლსბროს“, ერთი თვის წინ ლიგის და ქვეყნის თასისთვის რომ იბრძოდა და თითქოს ლიგაში დარჩენაც გაინაღდა, საქმეები სულ უკან-უკან წაუვიდა, ჩემპიონატში ბლომად წააგო, ლიგის თასიც დათმო და ერთი შეხედვით არც „უემბლიზე“ „ჩელსისთან“ მოგების იმედი უნდა ჰქონდეს. ამ კრიზისულ პერიოდში რობსონის ბიჭებმა ორი მეტად პრინციპული შეხვედრა ფრედ დაასრულეს. „ოლდ ტრეფორდზე“ ძლიერად ნათამაშევი მატჩისგან განსხვავებით, „ბლექბერნში“ ისინი უნიათოდ გაისარჯნენ და ერთი ქულა რომ აიღეს, რობერტსს უნდა უმადლოდნენ. მეკარე ხანდახან ისეთ ბურთებს იგერიებდა, მასპინძელთა გულშემატკივრები ტაშით აჯილდოვებდნენ. ბრწყინვალედ ითამაშა „ბლექბერნის“ შოტლანდიელმა მცველმა კოლინ ჰენდრიმ, ვინაც, მხატვრულად რომ ვთქვათ, ის კლდე იყო, რომელსაც სტუმართა შეტევები უშედეგოდ ასკდებოდა და იქვე იმსხვრეოდა. პირველი ნახევარი უინტერესო გამოდგა. სტუმრებს შეტევაზე არც უფიქრიათ, მასპინელთა თავდასხმას ელოდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, არც „ბლექბერნი“ აპირებს თავის გაგიჟებასო, პირველი ტაიმის დროც ამოიწურა. მეორე ნახევარში ამოქმედდა ჟუნინიო, თუმცა შეტევაში აშკარად აკლდა რავანელი. 58-ე წუთზე მასპინძლებს, კერძოდ კი ლე სოს, ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ ახლოდან უხეიროდ გაისარჯა. ორ წუთში ბერგის თაური რობერტსმა თავგანწირული ნახტომით მოიგერია, გალაჰერის დამატებული კი უკვე დაიჭირა. 65-ე წუთზე ჰენდრიმ მთელ შეხვედრაში ერთადერთი შეცდომა დაუშვა, როცა საჯარიმოში ელვისებურად შეჭრილი ჟუნინიო ჩინდორზე დაანარცხა. მსაჯმა წესები არ დარღვეულაო თქვა და მიდლსბროელთა პენალტის იმედს ცივი წყალი გადაასხა. სტუმრებმა არბიტრი ალყაში მოაქციეს და წესების სწავლება დაუწყეს, რის გამოც ფერტამ და პირსონმა ყვითლები მიიღეს. პენალტის უგულებელყოფამ „მიდლსბრო“ მოშალა, თუმცა რობერტსი მედგრად აღუდგა მასპინძელთა მასირებულ შეტევებს. დაახლოებით 10 წუთიან პერიოდში მეკარემ ბევრი ბლექბერნელი დააღონა. გარდა ამისა, ერთხელ 73-ე წუთზე ძელიც კარგად დაეხმარა, რობერტსს ბერგის დარტყმულის მოგერიებაში. მატჩის ბოლო წუთებზე ფლაუერსიც გაისარჯა, როცა „მიდლსბროს“ ყველაზე აქტიურ— ფეხბურთელ ჟუნინიოს ერთობ სახიფათო ჯარიმა აუღო. შეხვედრის მერე რობსონი თავის ფეხბურთელებს მიდგა და გააკრიტიკა, ერთი ჟუნინიოთი ვარ კმაყოფილიო, თქვა და დასძინა — „ლიდსში“ თუ არ ვიმარჯვეთ, წასულია ჩვენი საქმეო.

### ლესტერი 1:0 შეფილდი

**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, კამარკი (პრაიორი 87), ლენონი, უოლში, ელიოტი, ჯაპი, პარკერი (უითლოუ 46), კლერიჯი (კემპბელი 63), მარშალი, ჰესკი

**შეფილდი:** პრესმენი, ნოლანი, აზერტონი, უოქერი, სტეფანოვიჩი, უტინგემი, ჰამპრეისი, კარბონი, ჰერსტი (ბლინკერი 81), ბუთი, პემბრიჯი

**გოლი:** ელიოტი (86)

მასპინძლებმა ჩემპიონატში უკანასკნელად ითამაშეს „ფილბერტ სთრითზე“ და სეზონის დახურვა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. ამ მეტად იღბლიან სეზონში ხომ „ლესტერმა“ ლიგის თასი მოიპოვა, რასაც საშინაო მატჩების დასრულებაც ემატებოდა. მატჩამდე სტადიონის შემოგარენში სხვადასხვა გასართობი სანახაობა ეწყობოდა, რომელიც მატჩის მერეც კარგა ხანს გაგრძელდა. მთელი მატჩი მართალია უინტერესო გამოდგა, მაგრამ მასპინძელ ფანებს წუთითაც არ შეუწყვეტიათ მხურვალე გულშემატკივრობა. მთელ პირველ ტაიმში ერთადერთი სახიფათო მომენტი 21-ე წუთზე შექმნა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების შავკანიანმა ფორვარდმა ემილ ჰესკიმ. აზერტონის მოტყუების შემდეგ მან წინ წაიწია და დაახლოებით ათი მეტრიდან რაც შეეძლო, დასცხო. ბურთი, მისდა სამწუხაროდ, უზუსტო იყო — ხარიხას მცირედით ასცდა. შესვენებისას დიქტორმა სტადიონს ამცნო, ერთ-ერთმა თქვენთაგანმა ცხრანახევარი მილიონი გირვანქა მოიგო ლატარეაშიო. ხალხი გაისუსა. ცნობილი გახდა იმ ბედნიერის ვინაობაც — შონ ტეილორი. გამარჯვებული მოედნის ცენტრში გაიყვანეს და ჰკითხეს, ამ ფულით რას გააკეთებო ამან კი, არც აცია, არც აცხელა და „ლესტერის“ დირექტორთა საბჭოს წევრი მინდა გავხდეო. მოკლედ, ყველა თავის ჭიას ახარებს. შესვენებისას მოწყობილი ერთგვარი შოუს მერე თამაში განახლდა. თუმცა, ფეხბურთელებმა თავის მხრივ ვერანაირი სანახაობა ვერ გამართეს, რითაც მწვრთნელებისგან მატჩის მერე დიდი გულისწყრომა დაიმსახურეს. ეს არაფრისმომცემი მატჩი იწურებოდა, როცა მასპინძელთა გასახარად, „ლესტერისთვის“ სარეკორდო თანხად, მილიონ 600 ათასად, შეძენილმა მეტ ელიოტმა საგოლედ დჭასცხო. პრესმენი კი გადახტა, მაგრამ გუნდი საფრთხისგან ვერ იხსნა.

### მანჩესტერი 0:0 ნიუკასლი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, მეი, ფ. ნევილი, კინი (მაკლეირი 10), სქაილზი, იონსენი, ბექემი, პობორსკი, კანტონა, კოული

**ნიუკასლი:** სრნიჩეკი, უოტსონი, ელიოტი, ბეტი, პიკოკი, ალბერი, ბარტონი, ბერესფორდი, გილესპი, ფერდინანდი (ასპრილია 80), შირერი

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში უკვე ინგლისის ჩემპიონები 0:5 განადგურდნენ და, მიუხედავად ჩემპიონობისა, „ოლდ ტრეფორდზე“ „ნიუკასლისთვის“ ამ მეტად პრინციპული შეხვედრის საცქერად შეყრილი 50 ათასი მანჩესტერელი თავისიანებს გამარჯვებისკენ მოუწოდებდა. შეხვედრა მართლაც კარგი სანახავი გამოდგა, თუმცა, ხალხმა გოლი ვერ ნახა. მასპინძლებს ბათი აკლდათ, დაწყებისთანავე კი ტრავმის გამო კინმაც დატოვა მინდორი. პირველ წუთებში გუნდები ფრთხილობდნენ, თუმცა, ტაიმის შუაში მასპინძელთა უპირატესობა შესამჩნევი გახდა. კანტონას პასით ბექემმა და კოულმა ვერ იხეირეს. ანალოგიურად დასრულდა ჩეხი პობორსკის სოლო შეტევა. მალე შესანიშნავად ითამაშა პაველ სრნიჩეკმა. იგი კოულს მოხერხებულად ჩაუწვა ფეხებში და ბოლო მომენტში წაართვა ბურთი. საერთოდ, მეკარემ შესანიშნავად ითამაშა, კარიც ბოლომდე შეინახა, რითაც გოლგაუშვებელი სერია 270 წუთამდე გაზარდა. 23-ე წუთზე კოულს კვლავ მიეცა შეგდების შანსი, მაგრამ კვლავ პაველმა აჯობა. ტაიმის შუაში ინგლისის გასული წლის საუკეთესო მოთამაშემ, კანტონამ, ფილ ნევილს კარგად გადააწოდა, თუმცა, ამ უკანასკნელმა ააცილა. 42-ე წუთზე გილესპიმ ფერდინანდის პასით მაინცდამაინც შმაიხელს გაარტყა. მალე ექს-ნიუკასლელმა კოულმა გაფუჭებული მომენტები გაასამა, როცა სრნიჩეკთან პირისპირ გასულმა ახლოდან ააცილა. ტაიმის დაწყება და „ნიუკასლის“ ძალზედ სახიფათო შეტევა ერთი იყო. ბეტი-ალბერი-შირერის კომბინაცია კოლეგებისგან საუკეთესოდ შერაცხულმა ალანმა უხეიროდ დაასრულა. 53-ე წუთზე გარი ნევილი და ბერესფორდი წაკინკლავდნენ. გარის ბერესფორდი ეუხეშა, თუმცა მსაჯმა წესის დარღვევა არ დააფიქსირა. ამან ნევილი გააცოფა, „ბოროტმოქმედს“ გამოეკიდა და მინდორზე გაშხლართა. ეს კი მსაჯმაც ველარ მოითმინა და გარი „გააყვითლა“, თუმცა დალვილიშის მატჩის მერე გამოთქმულ აზრს თუ ვენდობით, ნევილი გასაძევებელი ყოფილა. ამის მერე კვლავ მასპინძლები უტევდნენ, სრნიჩეკი კი ოსტატობის დემონსტრირებას ახდენდა. დაახლოებით 68-ე წუთზე სქოულზის დარტყმული ხარიხას მოხვდა. მოგვიანებით კოულმა პიკოკი მოატყუა და კვლავაც უშედეგოდ დასცხო. შეხვედრის ბოლო წუთებზე კანტონამ კვლავ მეკარესთან პირისპირ დატოვა კოული, ენდიმ კი, რომელიც, ეტყობა, იმ დილით მარცხენა ფეხზე ადგა, ვერც ამჯერად იხეირა. ორთაბრძოლის მერე დალგლიში უხასიათოდ იყო, თუმცა, განაცხადა ჩემპიონთა ლიგაში გასვლის დიდი იმედი მაქვს და შეფილდელებს კაცურად ვთხოვ, „ლივერპულთან“ თავი არ დაზოგონო. ბოლოს დასძინა, „ნოტინგემთან“ მოსაგებად გავალთო.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 20 | 12 | 5 | 74:44 | 72 |
| ლივერპული | 37 | 19 | 10 | 8 | 61:36 | 67 |
| ნიუკასლი | 37 | 18 | 11 | 8 | 68:40 | 65 |
| არსენალი | 37 | 18 | 11 | 8 | 59:31 | 65 |
| ასტონ ვილა | 37 | 16 | 10 | 11 | 46:34 | 58 |
| ჩელსი | 37 | 15 | 11 | 11 | 56:54 | 56 |
| შეფილდი | 37 | 14 | 14 | 9 | 49:50 | 56 |
| უიმბლდონი | 37 | 14 | 11 | 12 | 48:46 | 53 |
| ტოტენჰემი | 37 | 13 | 7 | 17 | 43:49 | 46 |
| დერბი | 37 | 11 | 13 | 13 | 44:55 | 46 |
| ლიდსი | 37 | 11 | 12 | 14 | 27:37 | 45 |
| ლესტერი | 37 | 11 | 11 | 15 | 42:52 | 44 |
| ბლექბერნი | 37 | 9 | 15 | 13 | 40:39 | 42 |
| ვესტ ჰემი | 37 | 10 | 12 | 15 | 39:46 | 42 |
| ევერტონი | 37 | 10 | 12 | 15 | 43:55 | 42 |
| საუთჰემპტონი | 37 | 10 | 11 | 16 | 50:55 | 41 |
| სანდერლენდი | 37 | 10 | 10 | 17 | 35:52 | 40 |
| მიდლსბრო | 37 | 10 | 11 | 16 | 50:59 | 38 |
| ქოვენთრი | 37 | 8 | 14 | 15 | 36:53 | 38 |
| ნოტინგემი | 37 | 6 | 16 | 15 | 31:54 | 34 |

„მიდლსბროს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

### პირველი დივიზიონი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 46 | 28 | 14 | 4 | 100:53 | 98 |
| ბარნსლი | 46 | 22 | 14 | 10 | 76:55 | 80 |
| ვულვზი | 46 | 22 | 10 | 14 | 68:51 | 76 |
| იფსვიჩი | 46 | 20 | 14 | 12 | 68:50 | 74 |
| შეფილდი | 46 | 20 | 13 | 13 | 75:52 | 73 |
| კრისტალ პალ. | 46 | 19 | 14 | 13 | 78:48 | 71 |
| პორთსმუტი | 46 | 20 | 8 | 18 | 59:53 | 68 |
| პორტ ველი | 46 | 17 | 16 | 13 | 58:55 | 67 |
| ქუინზ პარკი | 46 | 18 | 12 | 16 | 64:60 | 66 |
| ბირმინგემი | 46 | 17 | 15 | 14 | 51:47 | 66 |
| ტრანმერი | 46 | 17 | 14 | 15 | 63:56 | 65 |
| სტოკ სიტი | 46 | 18 | 10 | 18 | 51:57 | 64 |
| ნორვიჩი | 46 | 17 | 12 | 17 | 63:68 | 63 |
| სიტი | 46 | 17 | 10 | 19 | 59:60 | 61 |
| ჩარლტონი | 46 | 16 | 11 | 19 | 52:66 | 59 |
| ვესტ ბრომვიჩი | 46 | 14 | 15 | 17 | 68:72 | 57 |
| ოქსფორდი | 46 | 16 | 9 | 21 | 64:68 | 57 |
| რედინგი | 46 | 15 | 12 | 19 | 58:67 | 57 |
| სვინდონი | 46 | 15 | 9 | 22 | 52:71 | 54 |
| ჰადერსფილდი | 46 | 13 | 15 | 18 | 48:61 | 54 |
| ბრედფორდი | 46 | 12 | 12 | 22 | 47:72 | 48 |
| გრიმსბი | 46 | 11 | 13 | 22 | 60:81 | 46 |
| ოლდემი | 46 | 10 | 13 | 23 | 51:66 | 43 |
| საუთენდი | 46 | 8 | 15 | 23 | 42:86 | 39 |

„ბოლტონი“ და „ბარნსლი“ პრემიერლიგაში პირდაპირ გადავიდნენ. „ვულვზი“, „შეფილდი“, „იფსვიჩი“ და „კრისტალ პალასი“ კი კიდევ ერთ საგზურს გაითამაშებენ. „ვულვზ“ — „კრისტალ პალასის“ გამარჯვებული გადამწყვეტ მატჩში შეხვდება „შეფილდ“ — „იფსვიჩის“ გამარჯვებულს.

დივიზიონი დატოვეს: „საუთენდმა“, „ოლდემმა“ და „გრიმსბიმ“.




მანჩესტერი — ნიუკასლი. მანჩესტერელი კანტონა და ნიუკასლელი გილესპი ერთმანეთს ბურთს ეცილებიან

# თასები, თასები

## იტალია

### ნაპოლი 1:0 ვიჩენცა

1:0 ფაბიო პეკია (20)

2 მატჩისგან შემდგარი ფინალის პირველი შეხვედრა მოსაწყენი გამოდგა. ერთადერთი გოლი პირველი ნახევრის შუაში ახლო მანძილიდან შეაგდო პეკიამ. მან მაურო მილანეზეს გარჯა დაუფასა და მისი პასით იხეირა. რამდენიმე წამში პიერლუიჯი ბრივიომ „ნაპოლის“ არგენტინელ რობერტო აიალას ბრწყინვალედ აუღო თაური. 33-ე წუთზე „ვიჩენცას“ ურუგვაელმა ფორვარდმა მარსელო ოტერომ ტრავმა მიიღო და შეცვალეს. მეორე ტაიმში „ვიჩენცა“ უფრო გააქტიურდა, თუმცა, ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. ის კი არა, მათმა ურუგვაელმა გუსტავო მენდესმა, ისევე როგორც „ნაპოლის“ ბრაზილიელმა ანდრე კრუზმა, რომელიც მომავალ სეზონში მწვრთნელ ჯიჯი სიმონისთან ერთად მილანის „ინტერში“ გადადის, თასის გათამაშებაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და 29 მაისს „ვიჩენცას“ განმეორებით შეხვედრას გამოაკლდება.

## ისრაელი

თასის ნახევარფინალში საკმაო გოლი გავიდა. „ბნი იუდამ“ შინ სასტიკად, 2:5 წააგო ბეერშებას „ჰაპოელთან“. დასაწყისიდანვე სტუმრები დაწინაურდნენ — 47-ე წუთისთვის უკვე 3:0 იგებდნენ, მე-60 და 66-ე წუთებზე მასპინძლებმა ორი გაქვითეს, თუმცა შეხვედრის მიწურულს 85-ე და 90-ე წუთებზე ამდენივე გაუშვეს. მეორე ნახევარფინალში თელავივის „მაკაბიმ“ შინ 2:0 მოუგო იერუსალიმის „ბეითარს“.

## პორტუგალია

ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალში დედაქალაქის „სპორტინგმა“, რომ იტყვიან, გადაუარა „მაიას“ და დიდი ანგარიშით დაამარცხა — 3:0.

## ლიხტენშტაინი

### ბალცერსი 3:2 ვადუცი

1:0 დ. ფრიკი (46), 1:1 დუმანტეზი (75), 1:2 პესლერი (103), 2:2, 3:2 მ. ფრიკი (108, 113)

## ძოლა იქნება

ლონდონის „ჩელსისა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა ჯანფრანკო ძოლამ ორთავა კუნთის ტრავმა მოიშუშა და 17 მაისს, ინგლისის თასის ფინალში სათამაშოდ მზად იქნება. მოგეხსენებათ, იქ ფინალში ძოლა და მისი „ჩელსი“ „მიდლსბროს“ წინააღმდეგ წარსდგება, იმ „მიდლსბროსი“, რომელშიც ჯანფრანკოს თანამემამულე და „სკუადრა აძურაში“ თანაგუნდელი ფაბრიციო რავანელი გამოდის.

მიუხედავად გამოჯანმრთელებისა, 29 წლის სარდინიელი, რომელიც გასულ კვირაში ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, პრემიერლიგის ბოლო შეხვედრას „ევერტონთან“ ვერ ითამაშებს.

— ორი დღეა ნატკენი მომიშუშდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ვარჯიშისთვის ვარ მზად. მოგეხსენებათ, კუნთის დაშავება მუხთალი რამაა, სულ ფრთხილად უნდა იყო — თქვა ძოლამ გუშინ „ჩელსის“ საწვრთნელ ბაზაზე.


## გამარჯვებულთა საყურადღებოდ!

CROCO-სა და ბრიტანული ფირმა TRAVEL CLUB INTERNACIONAL-ის

მიერ მოწყობილი კონკურსის ხუთივე კითხვაზე სწორი პასუხების გამცემ სამეულს — ზურაბ კაჯირაშვილს, ფრიდონ ლონლაძეს და ბაქარ ჭეიშვილს კონკურსის თაოსნები 14 მაისს, საღამოს 6 საათზე სასტუმრო „საქართველოს“ მეხუთე სართულზე ბრიტანული ფირმის ოფისში ელიან მთავარი პრიზის გასათამაშებლად.


## ჰოლანდია

### როდა 4:2 ჰეერენვენი

1:0 ზიბონი (5), 1:1 კორნეევი (12), 2:1 ზენდენი (16), 3:1 ვან დერ ლუე (49), 4:1 შოპსი (59), 4:2 ტალანი (83)

მეოთხე ცდით „როდამ“, როგორც იქნა, მოიგო ქვეყნის თასი, რითაც როტერდამში ჩასული გულშემატკივრები ერთობ გაახარა. „მასპინძელთა“ შეტევებმა მალევე მოიტანა შედეგი, როცა მომავალ წელს „აიაქსში“ კლუივერტის შემცვლელმა ჯერალდ ზიბონმა ვან დერ ლუეს საჯარიმოს შედეგიანად დაუხვედრა თავი.

მინიმალურმა უპირატესობამ მხოლოდ შვიდ წუთს გასტანა, მერე კი რუსმა იგორ კორნეევმა, ვინც მომავალ სეზონში „ფეიენოორდის“ ფორმას მოირგებს, ძლიერი დარტყმით გაქვითა. „როდამ“ სტატუს-ქვო ოთხ წუთში აღადგინა, როცა ვან დერ ლუეს კუთხურიდან ზენდენმა თავით იხეირა. მეორე ნახევარში ორი საგოლე პასის ავტორმა ერიკ ვან დერ ლუემ თავადაც დაარტყა საჯარიმოს კუთხიდან და უფრო დააწინაურა თავისიანები. ათ წუთში კი მაარტენ შოპსმა საბოლოოდ გაარკვია ჰოლანდიის თასის 1997 წლის გამარჯვებულის ვინაობა. 83-ე წუთზე ტალანმა ერთი გაქვითა, თუმცა, „ჰერენვენმა“, რომელმაც აქამდე ერთადერთხელ ითამაშა ქვეყნის თასის ფინალში და მაშინაც წააგო (1993 წლის „აიაქსთან“ 2:6), მეტის გაკეთება ველარ შეძლო.

## დანია

### კოპენჰაგენი 2:0 იკასტი

1:0 ჰემინგსენი (72), 2:0 ნილსენი (84)

უგოლო და უინტერესო პირველი ნახევრის შემდეგ ქვეყნის სუპერლიგელმა „კოპენჰაგენმა“ პირველ დივიზიონელი „იკასტის“ შევიწროება დაიწყო. ჰემინგსენმა ფავორიტად შერაცხული „კოპენჰაგენის“ მორიგი შეტევა თაურით დაასრულა, მალე კი ნილსენმა მეორეც შეაგდო და ბოლო 22 თამაშში „იკასტს“ მეორედ წააგებინა. 1992 წელს „კ. ბ. კოპენჰაგენისა“ და „ბ-1903“-ის გაერთიანების მერე შექმნილმა გუნდმა, რომელიც 12 გუნდიდან სუპერლიგაში მერვე ადგილზეა, ბოლო სამ სეზონში მეორედ მოიგო ქვეყნის თასი.

## შოტლანდია

**35-ე ტური:** აბერდინი — რეით როვერსი 2:0, დანდი იუნაიტედი — ჰარტსი 1:0, დანფერმლაინი — კილმარნოკი 3:1, ჰიბერნიანი — სელტიკი 1:3, რეინჯერსი — მოზერველი 0:2

**გამოტოვებული მატჩები:** დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი 0:1, სელტიკი — კილმარნოკი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 35 | 25 | 5 | 5 | 84:30 | 80 |
| სელტიკი | 35 | 22 | 6 | 7 | 75:32 | 72 |
| დანდი იუნ. | 35 | 17 | 9 | 9 | 46:30 | 60 |
| ჰარტსი | 35 | 13 | 10 | 12 | 43:42 | 48 |
| დანფერმლაინი | 35 | 12 | 8 | 15 | 50:69 | 44 |
| აბერდინი | 35 | 10 | 13 | 12 | 44:53 | 43 |
| კილმარნოკი | 35 | 11 | 5 | 19 | 40:60 | 38 |
| მოზერველი | 35 | 9 | 10 | 16 | 42:53 | 37 |
| ჰიბერნიანი | 35 | 9 | 10 | 16 | 37:54 | 37 |
| რეით როვერსი | 35 | 6 | 6 | 23 | 28:72 | 24 |

## ჰოლანდია

**გამოტოვებული მატჩები:** სპარტა — ეინდჰოვენი 1:3, გრონინგენი — აიაქსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 30 | 21 | 5 | 4 | 79:21 | 68 |
| ფეიენოორდი | 30 | 20 | 6 | 4 | 55:28 | 66 |
| ტვენტე | 30 | 18 | 4 | 8 | 51:28 | 58 |
| აიაქსი | 30 | 14 | 10 | 6 | 45:26 | 52 |
| ვიტესი | 30 | 14 | 9 | 7 | 50:34 | 51 |
| ჰერენვენი | 30 | 13 | 11 | 6 | 53:36 | 50 |
| როდა | 30 | 14 | 7 | 9 | 48:38 | 49 |
| გრააფსხაპი | 30 | 11 | 6 | 13 | 43:49 | 39 |
| ბრედა | 30 | 10 | 9 | 11 | 39:45 | 39 |
| გრონინგენი | 30 | 7 | 12 | 11 | 35:51 | 33 |
| უტრეხტი | 30 | 6 | 14 | 10 | 36:40 | 32 |
| სპარტა | 30 | 9 | 5 | 16 | 34:46 | 32 |
| სიტარდი | 30 | 7 | 11 | 12 | 29:47 | 32 |
| ტილბურგი | 30 | 8 | 7 | 15 | 31:47 | 31 |
| ვოლენდამი | 30 | 7 | 10 | 13 | 29:50 | 31 |
| ნაიმეგენი | 30 | 5 | 10 | 15 | 29:55 | 25 |
| ვალვაიკი | 30 | 6 | 7 | 17 | 29:57 | 25 |
| აზ 67 | 30 | 5 | 7 | 18 | 24:41 | 22 |

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიის** 1984-85 წლების ჩემპიონის, ახლა კი ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფი „ვერონას“ მწვრთნელმა ლუიჯი კანიმ განაცხადა, გაისადაც აქ ვიმუშავებო. „ბოლო თამაში გადაწყდება ჩვენი სერია A-ში ყოფნა არ ყოფნის ბედი. ქვედა ლიგის გაგონებაც არ მინდა, მომავალი წლიდან სულ სხვა მიზნებისთვის ვიბრძოლებთ“ — თქვა კანიმ. „ვერონა“ ამ ტურში შინ, ჩემპიონატის ლიდერ „ბებერ ქალბატონად“ წოდებულ ტურინის „იუვენტუსს“ ლებულობს.

**სამხრეთ აფრიკა 4 ივნისს ამხანაგურად შეხვდება ჰოლანდიას. სტუმართა ნაკრებში ითამაშებს „ჩელსის“ მწვრთნელი რუუდ გულიტიც, კაცი რომელმაც 1987 წელს ევროპის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული ჯილდო, ოქროს ბურთი, იმხანად ციხეში მყოფ, ახლა კი ქვეყნის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას უძღვნა.**

**ესპანეთში** ამ დღეებში გადადგა აუტსაიდერ „სევილიას“ პრეზიდენტი ხოსე მარია გონსალეს დე კალდასი. მან აღიარა, რომ ვერ შეძლო კლუბში საქმეების მოგვარება, რამაც გამოიწვია კიდეც გუნდის კრახი. დე კალდასი გულშემატკივრებმა აიძულეს, გადამდგარიყო. მათ ქალაქის ქუჩებში საპროტესტო აქცია მოაწყვეს.

**ინგლისის პრემიერლიგის გუნდმა „საუთჰემპტონმა“ შეისყიდა მეორე დივიზიონელი „ჩესტერფილდის“ ოცი წლის ფორვარდი ქევინ დევისი, რომელმაც თასზე შესანიშნავი თამაშით დაამახსოვრა თავი კლუბის სელექციონერებს. მართალია, მხარეებმა კონტრაქტს ხელი მოაწერეს, მაგრამ დევისი ჩემპიონატის ბოლო მატჩში შინ „ასტონ ვილასთან“ ვერ ითამაშებს.**

**საფრანგეთის** „მეცის“ ფორვარდი სტეფან ადამი მომავალი სეზონიდან შოტლანდიურ „ჰართსში“ ითამაშებს. 27 წლის ადამს ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი ივნისში ეწყება და ბოსმანის წესის თანახმად, იგი თავისუფალი აგენტი ხდება.

**ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან 2000 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში იტალიასთან წააგო**



ხავიერ კლემენტე

**და მას მერე აღარც დამარცხებულა, თუ ევრო 96-ის მეოთხედფინალში ინგლისთან პენალტებით წაგებულ მატჩს არ ჩავთვლით.**

**გერმანელმა** ტომას ჰესლერმა, რომელმაც მარტში მარცხენა ფეხი მოიტეხა, იმედი გამოთქვა, სეზონის ბოლომდე ვითამაშებო. „კარლსრუეს“ თქმით, ჰესლერის დაბრუნებას მაისის ბოლო რიცხვებში უნდა ველოდოთ. მართალია, ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2000 წლამდე აქვს, მაგრამ გაისად სათუოა ტომასის ბუნდესლიგაში დარჩენა.

**ინგლისის პრემიერლიგიდან გავარდნილი „ნოტინგემის“ 35 წლის მცველმა სტიუარტ პირსმა თქვა, მართალია ჩამოვქვეითდით, მაგრამ ეს მე გაისად გუნდში თამაშში ხელს არ შემიშლისო. ინგლისის ნაკრების და კლუბის ვეტერანმა განაცხადა, პირველ დივიზიონში ადრეც მითამაშია და არაფერი დაშავდება, მეორედ რომ ვითამაშოო, თან დასძინა, რომ მომავალ წელს მათი ერთადერთი მიზანი უკან დაბრუნება იქნება.**

**ქუვეითის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში სძლია ლიბანს — 2:0.

**სამხრეთ ამერიკაში გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეორე წრის პირველი მატჩები. ეკვადორის „ნასიონალმა“ კლებერ ჩალას გოლის წყალობით ბრაზილიის „კრუზეირო“ დაამარცხა. მონტევიდეოში ადგილობრივმა „ნასიონალმა“ 1:3 წააგო ჩილეს „კოლო-კოლოსთან“, არადა 82-ე წუთზე ანგარიში საყაიმო იყო. გარდა ამისა, გაიმართა ამავე წრის განმეორებითი შეხვედრა. თასის მფლობელმა არგენტინის „რივერ-პლეიტმა“ შინ 1:1 ითამაშა თანამემამულე „რასინგთან“. ორი მატჩის ჯამში ანგარიში საყაიმო იყო — 4:4, რის გამოც გუნდებმა პენალტებით გაარკვიეს გამარჯვებული. სტუმრები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ 5:3 მოიგეს. პერუს „სპორტინგ კრისტალმა“ ხორხე სოტოს მიერ 88-ე წუთზე გატანილი გოლით აჯობა არგენტინულ „ველეზ სარსფილდს“. პირველი თამაში 0:0 დამთავრდა. ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკამ“ კი 4:0 სძლია ბოლივიის „ორიენტე პეტროლეროს“. შემდეგ ეტაპზე უკვე გავიდნენ: „ბოლივარი“ (ბოლივია), „გრემიო“ (ბრაზილია), „რასინგი“ (არგენტინა) და „პენიაროლი“ (ურუგვაი).**

**ინგლისის** „მანჩესტერ სიტიმ“ დელიენ ატკინსონი შეიძინა. კლუბის მწვრთნელმა ფრენკ კლარკმა ტრანსფერზე დააყენა ნაიჯელ კლაფი, ნილ ჰინი და გარი კრინი. ადრე ატკინსონი „ასტონ ვილაში“ თამაშობდა, თუმცა „სიტიში“ გადასვლამდე „ფენერბაჰჩეში“ იყო.

**იტალიის ნაკრებში დაბრუნებულმა რობერტო ბაჯომ თქვა, ადრე განვაცხადე, რომ სეზონის ბოლოს „მილანს“ დავტოვებდი, მაგრამ ახლა აზრი შემეცვალა და არსად წასვლას არ ვაპირებო. 30 წლის ბაჯომ, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს ეწურება, თქვა, ძალიან გამახარა, ჰოლანდიელებთან გატანილმა გოლმა, 1998 წელს საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის იმედი ჩამესახაო.**

**ინგლისის** „უიმბლდონის“ მწვრთნელმა ჯო კინარმა თქვა, მომავალ სეზონში, შესაძლოა, ლეონარდსენი „ფიორენტინაში“ გადავიდესო.

**შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსმა“ სამი თამაშით მოკვეთა პოლ გესქოინი, ვისაც 26 ოქტომბრის მერე გაფრთხილება არ მიუღია. გესქოინმა „კილმარნოკთან“ შეხვედრისას მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც დაისაჯა.**

**ხორვატმა** სლავენ ბილიჩმა თქვა, მომავალ სეზონში „ვესტ ჰემში“ გამჩერებელი აღარ ვარო. მისი განცხადებით, ინგლისში „ტოტენჰემი“, „ევერტონი“, და „მანჩესტერ იუნაიტედი“ იწვევს, ალბიონის გარდა კი კიდევ რამდენიმე გუნდმა შესთავაზა გადასვლა.

**იტალიის „იუვენტუსის“ მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის „ატლეტიკომ“ კრისტიან ვიერის სანაცვლოდ 15 მილიონი დოლარი შემოგვთავაზა, მისი გამყიდველი მაინც არ ვართო. თან დაამატა, შარშან რავანელი და სოუზა იმიტომ გავყიდეთ, რომ ისინი უკვე ასაკში იყვნენ და ჩვენს სამომავლო ამბიციებს ვერ გაუძლვებოდნენო. „ახლა ასეთი რამ აღარ მოხდება. „იუვეს“ დიდი მიზნები აქვს დასახული, რომელთა განსახორციელებლად ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ.“ იმავე მოჯის თქმით, არც იუგოსლაველ ვლადიმირ იუგოვიჩს გაყიდიან, მიუხედავად იმისა, რომ „ლაციომ“ მის სანაცვლოდ გვარიანი თანხა შესთავაზა.**

**არგენტინის** „რივერ-პლეიტის“ თქმით, ყველანაირად ეცდებიან, „ნიუკასლის“ კოლუმბიელმა ფორვარდმა ფაუსტინო ასპრილიამ მომავალ სეზონში მათთან ითამაშოს.

## დღეს ევროპაში

# სოფლის გოგო-ბიჭები ქალაქს მიდიან

გინგამი 8700 მოსახლიანი ქალაქია. სოფლებიანად თუ დავთვლით 22 ათასი გამოვა, მაგრამ დღეს იქაურობა მიტოვებულსა და მივიწყებულს ჰგავს. ყველა, ვისაც გადაადგილება შეუძლია პარიზშია, რათა „პარკ დე პრენსზე“ თავის გუნდს მხარი დაუჭიროს. დიახ, დღეს გუნდი, რომლის სრული სახელია „გოუ ეჰედ გინგამი“, 12 ათასი თანაქალაქელთანასოფლელის მხარდაჭერით, საფრანგეთის თასის ფინალში „ნიცას“ შეებრძოლება. აქამდე გინგამელები მეოთხედფინალს არასდროს გასცდენოდნენ, ახლა კი ჯილდოს მოპოვების და მომავალ სეზონში თასების თასზე გასვლის შანსი აქვთ.

ქართველმა გულშემატკივარმა „გინგამი“ გასულ ივლისს გაიცნო. ინტერტოტოს თასზე მას ფოთში „კოლხეთმა“ უმასპინძლა. იმ მატჩში ჩვენებმა 1:3 წააგეს, მაგრამ სტუმრებს მაშინ ფოთელმა და უცნობმა, ახლა კი ალანიელმა და საქართველოს ეროვნული გუნდის წევრმა გოგა გახოკიძემ ერთობ მოაწონა თავი. „გინგამმა“ მაშინ გოგა თავისთან, საფრანგეთში შეკრებაზე მიიხმო და რამდენჯერმე ავარჯიშა კიდეც, მაგრამ ლეგიონერებით ისედაც დახუნძლულმა ახალგაზრდა ქართველთან კონტრაქტის დადება ვეღარ გაბედა, თუმცა ერთი-ორჯერ მერეც შეეხმიანა, არ გეგონოს დაგვავიწყდიო.

დღეს „პარკ დე პრენსზე“ „გინგამს“ თები ამ დღეებში ხშირად იხსენებდნენ გუნდის ოქროს ხანას, 1952 წელს, როდესაც პირველობაც მოიგო და თასიც; 1951, 195[illegible], 1959 ჩემპიონობის წლებს და 1954-ს [illegible] მერე რომ დაეპატრონა. მოიგონეს იმჟამინდელი ვარსკვლავები, წარმოშობით არგენტინელი პანჩო გონსალესი და ჟიუსტ ფონტენი. არც 1978 წლის თასის ფინალი დავიწყებიათ, „ნანსისთან“ რომ წააგეს.

დღეს „პარკ დე პრენსზე“ იმდენი ნიცელი მივა, წლეულს საკუთარ „სტად დუ რეიზე“ რომ არ ყოფილა. ის კი არა, 10 ათასზე მეტი, იმ, 1978 წლის ფინალის შემდეგ არ დასწრებია გუნდის თამაშს. მიმდინარე სეზონში ტრიბუნებზე ხალვათობა გასაგებიც იყო, ზაფხულზე „ნიცამ“ წამყვანი ფეხბურთელები გაყიდა, ახლები კი გვიან და მცდარად შეიძინა, შედეგად, საწყის შვიდ თამაშში ერთადერთი ქულა მოიპოვა. სწორედ იმხანად წააგო „გინგამთანაც“ 1:2.

ჟან-ფილიპ მატიო 32 წლის მცველია, რომელიც „ნიცაში“ 1985 წელს მივიდა და მას მერე ერთგულად ემსახურება. ახლა, მისი კარიერის უმნიშვნელოვანესი მომენტია. რაც გუნდშია ასეთი რანგის თამაში „ნიცას“ არ მოსწრევია, მაგრამ მატიოს ბედმა უმუხთლა, რვა დღის წინ „ლიონთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და უდიდესი გაწბილების საფრთხე ემუქრება.

— 40 პროცენტია იმისა, რომ ვითამაშებ. ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ფინალმა უჩემოდ არ ჩაიაროს — თქვა მან.

მეორე ძირძველმა ნიცელმა ფრედრიკ ჟორიამ დღევანდელ მატჩს საბედისწერო მნიშვნელობა მიანიჭა: — ჩვენს ქალაქში ყველა ფინალზე ფიქრობს, ყველას ჩვენი იმედი აქვს. კლუბს ხომ 40 წელიწადია არაფერი მოუგია.

ნახევარმცველი ფრედერიკ ტატარიანი კი გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებულია:

— თასს ჩვენ მოვიპოვებთ, რადგან ბევრი რამ გვაქვს დასამტკიცებელი. ჩვენ ამას შევძლებთ და ლიგიდან გავარდნის სიმწარე დაგვავიწყდება.

ნიცელთა მწვრთნელმა, წარმოშობით იუგოსლაველმა სილვესტერ ტაკაჩმა მეტი ტაქტი გამოიჩინა:

— „გინგამს“ დიდ პატივს ვცემ. მას ორი ისეთი ცენტრალური მცველი ჰყავს, რომელთა გვერდის ავლა უძნელესი საქმეა, გარდა ამისა უნდა გავითვალისწინოთ საკმაოდ ძლიერი ნახევარდაცვა და რა თქმა უნდა მუდამ სახიფათო ვრე.

**პაპუნა ძიძია**



**1996 წლის 13 ივლისი. გინგამელები ფოთში მორიგი გოლის გატანას ულოცავენ ერთმანეთს**

მას მერე, რაც ნახევარფინალის დამატებით დროში „მონპელიეს“ ორი გოლი გაუტანა, „გინგამმა“ ჩემპიონატის სამ ტურში ერთის შეგდებაც ვერ მოახერხა. ეს მისთვის ერთგვარად საგანგაშოცაა, რადგან მთავარი ბომბარდირის, ლიბერიის ნაკრების წევრის კრისტოფერ ვრეს არყოლას ვერ დაიჩივლებს. იმედი ისაა, რომ მეტოქე, „ნიცა“ სუსტია, ლიგიდან პირველობის დამთავრებამდევე გავარდნილი, თუმცა ამ მედალსაც მეორე მხარე აქვს, გავარდნილ გუნდს თასის მოგება და ევროტურნირზე გასვლა ხომ ერთიორად სწყურია.

ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ ფარული ქომაგი ეყოლება. საუბარია საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტსა და გინგამის მერზე ნოელ ლე გრეტზე, რომელმაც გუნდის მესამე დივიზიონიდან პირველში გადასაყვანად უდიდესი, 7,6 მილიონ დოლარიანი წვლილი შეიტანა.

„ნიცა“, როგორც მოგახსენეთ, ამ სეზონს ვაგლახით ჩაამთავრებს და შემოდგომიდან მეორე დივიზიონში გადაბარგდება, თუმცა ყველა ღონეს იხმარს თასის მოგებით კარი რომ გაიჯახუნოს. ბოლოს ამ პრიზს რივიერელები 1954 წელს ფლობდნენ. ადგილობრივი გაზე-

# დევთა ჭიდილი

დღეს ბარსელონას „ნოუ კამპზე“ დევთა ბრძოლაა, „ბარსა“ „რეალის“ წინააღმდეგ. პირველობის დამთავრებამდე ექვსი ტურია, მადრიდელები კატალონიელებს რვა ქულით უსწრებენ.

— ის, რაც ტენერიფეზე ხდებოდა შესაძლოა ახლაც განმეორდეს — იმედიანად განაცხადა „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა, რომელმაც ორიოდ დღის წინ თანამდებობაზე უცვლელად ყოფნის 19 წლისთავი იზეიმა. ნუნიესს მალე ახალი არჩევნები ელის და ამიტომაც საგანგებო იმედით შეჰყურებს დღევანდელ მატჩს.

რა ხდებოდა ტენერიფეზე ზედიზედ ორი წლის განმავლობაში? საერთაშორისო ფეხბურთის მიმდევართ რა დააივიწყებთ 1993 და 1994 წლების მაისს, როდესაც სეზონის ბოლო შეხვედრაში „რეალი“ კანარის კუნძულელთა გუნდთან გადამწყვეტ ქულას ჰკარგავდა, „ბარსა“ კი იმარჯვებდა და ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს ეუფლებოდა. მაშინ კატალონიელებს იოჰან კრუიფი წვრთნიდა. მას მერე „ბარსელონას“ პირველობაზე აღარ გაუმარჯვია.

ნუნიესმა ღირსშესანიშნავი სხვაც თქვა. ეს ნათქვამი შესაძლოა მეტოქეზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებადაც ჩავუთვალოთ. საქმე ეხება „რეალის“ ოთხ ფეხბურთელს, რომლებიც პრეზიდენტის თქმით მას დაუკავშირდნენ და მომავალი სეზონიდან „ბარსელონაში“ თამაშის ნება თხოვეს. ნუნიესს მათი ვინაობა არ დაუსახელებია, თუმცა ქარაგმა არ დაინანა, ისინი ჩვენთან რომ გადმოვიდნენ, გოლებს გაიტანენ, ორი მათგანი ხომ ფორვარდიაო. ყველამ ხელად დავორ შუკერსა და პრედრაგ მიატოვიჩზე იფიქრა.

ბუნებრივია დღევანდელი შეხვედრისთვის მადრიდშიც საგანგებოდ ემზადებოდნენ. „რეალის“ იტალიელ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს კატალონიის დედაქალაქში გამარჯვებით ჩემპიონობის ფაქტობრივად დაგულებაც შეუძლია და ბოლოხანს შემომწყრალი ქომაგების შემორიგებაც. კონფლიქტი მასა და კლუბის პრეზიდენტს ლორენსო სანსს შორის ოდნავ მინელდა, რადგან როგორც ჩანს ორივემ საქმის სასარგებლოდ ვნება მოთოკა და საჯარო გამონათქვამებშიც უფრო მორიდებულნი გახდნენ.

მაშ ასე, თუ „რეალმა“ მოიგო მეტისმეტად მიუახლოვდება ესპანური გვირგვინის 27-ედ დადგმას.

— ფრის სათამაშოდ მოედანზე არასდროს გავდივართ — განუცხადა ხალხს კაპელომ, ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ „სამეფო გუნდს“ ბარსელონაში, ჩემპიონატის თამაში 1983-84 წლების სეზონის შემდეგ არ მოუგია და ამასაც რომ შევეშვათ, ფრე მისთვის ჩინებული შედეგი იქნება.

კაპელო რომ მატჩისთვის სერიოზულად ემზადებოდა, ამას ნახევარმცველის ვიქტორ სანჩესის მეორე გუნდიდან პირველში დაბრუნებაც მეტყველებს. 20 წლის სანჩესმა დეკემბერში, „ბარსელონას“ 2:0 ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა, თუმცა შემდეგ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მწვრთნელმა მეორე გუნდში გადაიყვანა. ახლა, დღევანდელი საბედისწერო შეხვედრისთვის კი იგი კვლავ მთავარ გუნდშია, რადგან კაპელოს ყველა, ვისაც ბრძოლის უნარი აქვს მოედანსა და სათადარიგოთა სკამზე ჭირდება.

კატალონიაში ასეა, მთავარია „ბარსელონამ“ „რეალს“ მოუგოს. მართალია „ბარსა“ თასების თასისა და ესპანეთის თასის ფინალშია, მაგრამ ეს ორივე ჯილდო არაფერია იმასთან, რაც შეიძლება მოხდეს თუ დღეს ბობი რობსონის გუნდმა იმარჯვა.

ასეა მადრიდშიც, თუმცა აქ დედაქალაქში სხვაგვარად ვერ იქნება, რადგან ერთადერთი პრიზი, რომლის მოპოვებაც „რეალს“ სძალუძს, სწორედ ესპანეთის ჩემპიონისთვისაა განკუთვნილი.

**გიგა ძოგახიძე**




სამეფო

შამპანური,

რომელსაც დიდი ხანია ელოდით

დამზადებულია ადგილობრივი ყურძნის ჯიშების, ციცქა, ჩინური გორული, მწვანე და პინოსგან მიღებული ღვინომასალების სრული შამპანიზაციის გზით.

ქარხანა „ვაზიანი“

T: 94 16 907 94 16 87

## ჰოკეი

### მსოფლიოს ჩემპიონატი



# ფოკინმა რუსები აზარალა

**საჩემპიონო ექვსეული**

**7 მაისი. ჩეხეთი — კანადა 5:3, ფინეთი — შვედეთი 1:5**

ფინალურ ეტაპზე შეხვედრათა დაძაბულობამ იმატა. ჩეხებსა და ფინელებს მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში რჩებოდათ ფინალში გასვლის შანსი, თავიანთ მხრივ არც შვედები და კანადელები აპირებდნენ მეტოქეებს ამ გამარჯვებაში მიხმარებოდნენ, ამიტომ ორივე შეხვედრა მეტად უშელავათო და საინტერესო გამოდგა.

მსოფლიოს ჩემპიონებმა, ჩეხებმა კანადელების კომბინაციებს აგრესიული თამაში დაუპირისპირეს, პირველ პერიოდში კანადელებმა შეძლეს მეტოქის შეტევების შეჩერება და, ასე თუ ისე, თანაბარ ორთაბრძოლაში დამთავრდა 20-წუთიანი მონაკვეთი, მაგრამ ჩეხთა ბრწყინვალე სამეულმა — პროჰაზკა-პატერა-ვუიტეკი — ბოლოს მაინც იძალა და თამაშიც ჩეხთა კარნახით წავიდა. ლიდერთა სამეულიდან კი მეტად გამოირჩეოდა ვუიტეკი (3+1) — ჩემპიონატზე, ჯერჯერობით, პირველი ჰეთ-თრიქიც გააჩერხა. ამასთან, თანაგუნდელ პროჰაზკასთან (1+3) ერთად ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა — ორივემ 6-6 შაიბა შეაგდო.

მარცხისთვის განწირულმა კანადელებმა, სხვა რომ ვერაფრით აჯობეს მეტოქეს, მატჩის მიწურულს კაი ლაზათიანი ჩხუბი ატეხეს, თანაგუნდელები არ დამიჩაგროთო, იფიქრა სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა კანადელმა დონოვანმა და მუშტი-კრივში ჩაება. ჩეხებმაც აყალმაყალში უფრო გამოცდილ კანადელებს ვერაფერი დააკლეს და ჰოკეიში გამარჯვებულები ამჯერად დამარცხდნენ. მატჩისა და ჩხუბის დამთავრების შემდეგ ჩემპიონატის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა „ჰოკეისტ-მოკრივეთა" არასპორტულ საქციელზე და ორ კანადელსა და ამდენსავე ჩეხს დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. დასჯილთა შორისაა მატჩის გმირიც — ჩეხი ვუიტეკი, თუმცა, ვფიქრობთ, კანადელებთ, როგორც ჩხუბის წამომწყებებს, ლმობიერად მოექცნენ.

ჩემპიონატის მასპინძლებმა, ფინელებმა მიუხედავად გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერისა, ვერაფერი მოუხერხეს თავიანთ მუდმივ მეტოქეს — შვედებს. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, მეორე პერიოდში გადაწყდა. მართალია, ფინელთა დუეტმა (კოივუ-პელტონენი) ორჯერ იხეირა, როცა შვედები რიცხვნაკლულნი ასპარეზობდნენ, მაგრამ შვედთა ლიდერმა ნიულანდერმა, წინა თამაშებისგან განსხვავებით, მართლაც ღირსეულად იტვირთა ლიდერობა, ჯერ მასპინძელთა მეკარეს ცხვირწინ ააცალა შაიბა და გოლი შეაგდო, შემდეგ ყველა შეტევის სულისჩამდგმელად მოგვევლინა. ფინელთა განადგურება ფალკმა დაასრულა და ზეიმის მომლოდინე ფინელი ქომაგები „სამგლოვიარო ნოტაზე" გადააწყო.

**8 მაისი. შვედეთი — ჩეხეთი 1:0**

სკანდინაველებს ყაიმიც ხელს აძლევდა, ამიტომ სათამაშო ტაქტიკად დაცვითი ვარიანტი ირჩიეს და გაუმართლათ კიდეც. თუმცა, ჩეხების მარცხის უმთავრესი მიზეზი ალბათ ისა, რომ მცველი და 2 თავდამსხმელი აკლდათ დისკვალიფიკაციისა თუ ტრავმების გამო, მათ შორის გუნდის ლიდერი ვუიტეკი. თანაც შუა თამაშში ჩეხებმა ტრავმის გამო კიდევ ერთი მცველი ვიკოუკატი მოისაკლისეს. მიუხედავად განახევრებული შემადგენლობისა, მასპინძელთა მძლეველ შვედებს ჩეხებმა უშელავათო ბრძოლა გაუმართეს, პროჰაზკამ და პატერამ არაერთხელ აღინეს შიშის ოფლი მეტოქის მეკარეს, მაგრამ სალომ პირდაპირ სასწაულები მოახდინა და თავის კარში შაიბა არ გააჭაჭანა. გამუდმებელმა იერიშებმა ძალა გამოაცალა ჩეხებს, შვედებმა კი, მშვიდად რომ იცავდნენ თავს, კანტი-კუნტი შეტევებიდან ერთი გოლით დააგვირგვინეს. 51-ე წუთზე იონსონმა ლამაზად შეგდებული შაიბით შვედები ფინალში გაიყვანა.

**9 მაისი. კანადა — რუსეთი 2:1**

კანადელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ და ცდა არც დაუკლიათ, თუმცა თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პირველ პერიოდში მცირე უპირატესობა ჩრდილოამერიკელებისა იყო და ამითაც იხეირეს: მე-15 წუთზე ზამუნერის პასით პრიმომ გაიტანა. რუსებმა ტემპს უმატეს, რამდენჯერმე მწვავედაც შეუტიეს კანადელებს და ბუცაევმა ანგარიში გაათანაბრა კიდეც. თამაშის სურათი არ იცვლებოდა, შანსები თანაბარი იყო და ამ დროს... რუსების ზონაში სადაო შაიბის ჩაგდებისას შაიბა ფედოტოვს მიუვიდა, მან კარს უკან მისი გადაგდება მოისურვა, გზად კი შაიბა მისსავე თანაგუნდელ ფოკინს მოხვდა და გაოცებულ მეკარე მიხაილოვსკის ფეხებში გაუძვრა. ამისთანა ნოკდაუნის მერე რუსები გონს ვეღარც მოეგნენ და დამარცხდნენ, ასე რომ, ფინალში შვედეთი და კანადა ითამაშებენ. მესამე ადგილს ერთმანეთს რუსები და ან ჩეხები, ანაც ამერიკელები შეეცილებიან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 0 | 1 | 17:9 | 8 |
| კანადა | 3 | 0 | 2 | 13:14 | 6 |
| რუსეთი | 2 | 1 | 2 | 13:13 | 5 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 3 | 12:12 | 4 |
| აშშ | 1 | 1 | 2 | 7:12 | 3 |
| ფინეთი | 1 | 0 | 3 | 10:13 | 2 |

**სანუგეშო ექვსეული**

**საფრანგეთი — ნორვეგია 4:3**

ფრანგმა დიუბემ ორი შაიბა შეაგდო და 7 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

**იტალია — გერმანია 5:2**

იტალიელმა ძარილომ ორი გოლი გაიტანა.

**სლოვაკეთი — იტალია 4:3, ლატვია — საფრანგეთი 6:2**

ლატვიისა და სლოვაკეთის მატჩში გამოვლინდება მე-7 ადგილის მფლობელი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 0 | 1 | 24:10 | 6 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 1 | 11:8 | 6 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 15:12 | 5 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 11:15 | 4 |
| გერმანია | 1 | 0 | 3 | 4:15 | 2 |
| ნორვეგია | 0 | 3 | 1 | 9:14 | 1 |

ბომბარდირები: პროჰაზკა და ვუიტეკი 12 (6+6), პატერა (ყველა — ჩეხეთი) 10 (3+7), დიუბე (საფრანგეთი) 9 (7+2), ნიულანდერი (შვედეთი) 9 (5+4), ზნაროკი (ლატვია) 9 (2+7), ძარილო 8 (5+3), ორლანდო (ორივე — იტალია) და ვიტოლინში (ლატვია) 8 (4+4), იონსონი (შვედეთი) 7 (5+2).

**სამველ ლარიბიანი**

### NHL. სტენლის თასი

## ფილადელფია 3-0 ბუფალო

**ფილადელფია — ბუფალო 4:1. შაიბები: ლინდროსი (1:0), პავერჩუკი (2:0), შენონი (2:1), ბრინდამორი (3:1), დესჟარდენი (4:1)**

ვიდრე ბუფალოელი ჰაშეკი სადისკვალიფიკაციო სასჯელს იხდიდა, ფილადელფიამ, ამ შეხვედრაში გამარჯვებით, ფაქტობრივად, გადაწყვიტა სერიის ბედი. როგორც მოსალოდნელი იყო, საკუთარ მოედანზე ტრადიციულად საუცხოოდ მოთამაშე „მფრინავებმა" მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და მატჩის ბედი პირველსავე პერიოდში გადაწყვიტეს. მასპინძელთა რიგებში მეტადრე ვეტერანები გამოირჩეოდნენ, განსაკუთრებით კი სახელოვანი მცველი კოფი, რომელმაც 3 საგოლე პასი გააჩერხა, ხოლო ჰავერჩუკი საიუბილეო ციფრს უახლოვდება — ამ მატჩში თავისი სათასო კარიერის 95-ე ქულა შეიმატა. ჰაშეკის შემცვლელმა შილზმა თავი ვერ გამოიჩინა, ჩეხის გარდა ბუფალოელებს კიდევ 2 წამყვანი ფორვარდი აკლდათ — პეკა და იდეტი, ამიტომ ფილადელფიელებს არ გასჭირვებიათ ლამის განახევრებული შემადგენლობით მოასპარეზე მეტოქის დამარცხება.

## რეინჯერზი 3-1 ნიუ ჯერზი

**რეინჯერზი — ნიუ ჯერზი 3:0. შაიბები: გრეივზი (1:0), გრეცკი (2:0), ტიკანენი (3:0)**

ნიუ ჯერზმა ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი ჩემპიონატი, არც ფლეი-ოფი დაიწყო ურიგოდ, მაგრამ რეინჯერზის წინააღმდეგ ვერაფერი მოახერხა. ეს, უპირველესად, ნიუიორკელთა გოლკიპერის რიხტერის დამსახურებაა. რიხტერი, 1994 წელს სათასო გამარჯვება რომ იზეიმა რეინჯერზელებთან ერთად, შემდეგ ცნობილ გოლკიპერთა ჩრდილში მოექცა — ბროდო, რუა და სხვანი აშკარად ჯობნდნენ მას, მაგრამ ის დღე უკვე მისი იყო. აკრობატული ნახტომებით დაწყებული, ყვანჯის უხეშად მოსროლით დამთავრებული, რიხტერმა ყველა ღონე იხმარა, რათა თავისიანთა კარი მშრალად შეენახა და სერიაში უკვე მეორედ შეძლო ეს (35 მოგერიება). მისმა კოლეგამ და ამ მატჩში მეტოქემ, ეშმაკ ბროდოდ შერაცხულმა ნიუ ჯერზელმა გოლკიპერმა მაღალი შეფასება მისცა თავისი გუნდის დამაქცევარს და ისიც დასძინა, რიხტერმა პირდაპირ გამაოცაო. მეტოქეთაგან ბროდოს ამ მატჩში, რა თქმა უნდა, გრეცკი და კიდევ ტიკანენი მოსწონებია. გრეცკის ანგარიშზე უკვე 118 სათასო შაიბაა. მის საუკეთესო თამაშს ყოველთვის ელიან, აი, ტიკანენი კი თითქმის მთელი სეზონი არ ჩანდა და მაინცდამაინც ფლეი-ოფში გაიგიჟა თავი. ამ ორივემ წლევანდელი ფლეი-ოფში 6-6 შაიბა შეაგდო.

## დეტროიტი 4-0 ანაჰაიმი

**დეტროიტი — ანაჰაიმი 3:2. შაიბები: საკო (1:0), ბრაუნი (1:1), ბელოუზი (1:2), ლიდსტრიომი (2:2), შენაჰანი (3:2)**

გათამაშების დებიუტანტმა ანაჰაიმმა ქება დაიმსახურა: „იხვებმა" მასზე გამოცდილ მეტოქეებს ყველა მატჩში დიდი წინააღმდეგობა გაუწია, გამოუცდელობის გამო კი სამი შეხვედრა ოვერტაიმში დათმო. ბოლო შეხვედრაც ანაჰაიმის უპირატესობით დაიწყო. დეტროიტელები კარგა ხანს მდევრის როლს სჯერდებოდნენ, მაგრამ უფრო მრავლისმნახველმა „წითელფრთიანებმა" ბოლოს მაინც იძალეს: დეტროიტელთა სნაიპერმა შენაჰანმა საყაიმო ანგარიში ვერ იგუა, გამარჯვების შაიბა შეაგდო და ერთობ გათამამებულ „იხვებს" ფრთები შეუკვეცა.

აღსანიშნავია, რომ ფლეი-ოფის სერიის მხოლოდ ამ მატჩში ვერ მოახერხა თავის გამოჩენა ანაჰაიმელთა მრისხანე დუეტმა — კარია-სელიანემ. არადა, წინა ორ რაუნდში ამ წყვილმა 14 შაიბა გააჩერხა. მაშ ასე, დეტროიტმა ზედიზედ მესამედ მიაღწია კონფერენციის ფინალს.



თამაშის გმირი ედმონტოელი არნოტი მეკარე ჯოზეფს გამარჯვებას ულოცავს

## ედმონტონი 1-2 კოლორადო

**ედმონტონი — კოლორადო 4:3. შაიბები: ფორსბერგი (0:1), ბუკბერგერი (1:1), არნოტი (2:1), კამენსკი (2:2), ლემიე (2:3), ბუკბერგერი (3:3), სმიტი (4:3)**

ედმონტონმა საუკეთესო მატჩი ითამაშა და ყოველმხრივ აჯობა მეტოქეს. განსაკუთრებით ბუკბერგერი გამოირჩეოდა, აგრეთვე არნოტი და სმიტი, ყველა შაიბა ან ამ სამეულიდან ერთ-ერთმა შეაგდო, ანაც ყველა გოლში ამათ დაიდეს წილი. მიუხედავად ედმონტონის სათამაშო უპირატესობისა, მასპინძლები მაინც 54-ე წუთამდე აგებდნენ შეხვედრას და მხოლოდ მატჩის მიწურულსღა მოახერხა სმიტმა გამარჯვების გოლის გატანა. კოლორადოს გუნდში კვლავ ფორსბერგის სამეული გამოირჩეოდა, ამათგან ლემიემ და ფორსბერგმა თითოჯერ იხეირეს კიდეც, რითაც ლემიე 8 შაიბით ჯერჯერობით საუკეთესო სნაიპერია, ხოლო ფორსბერგი 16 ქულით საუკეთესო ბომბარდირია საკიკთან ერთად. სამწუხაროდ, ფორსბერგი დაშავდა და შემდეგ თამაშს გამოტოვებს.

**სამველ ლარიბიანი**

## ავტორბოლა

### ფორმულა 1
### მონაკოს დიდი პრიზი

მონაკოს, ანუ მონტე-კარლოს „დიდი პრიზის" გათამაშებას გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიო პირველობის ეტაპთა შორის. ამ სახელმწიფო-სამთავროს კარგად ცნობილი ქალაქის ვიწრო ქუჩებში მოპოვებულ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. ვიწრო, გასწრებისთვის მოუხერხებელი ქუჩები ბევრ პრობლემას უქმნის პილოტებსა და მანქანებს, განსაკუთრებით რთულდება საქმე ავდარში. პილოტებიც საგანგებოდ ემზადებიან ამ ეტაპისთვის.



მონტე-კარლოში რბოლაც განსაკუთრებული პირობებით ტარდება — დისტანცია ყველაზე მოკლეა, იმაზე ნაკლებიც კი, ვიდრე ფიას წესებით არის გათვალისწინებული და პირველი ვარჯიშიც ხუთშაბათობით ეწყობა, პარასკევი კი ათასგვარ საზეიმო შეხვედრებსა და ინტერვიუებს ეთმობა. მაყურებელიც განსხვავებულია, რბოლის დღეებში აქ მრავალი ცნობილი ადამიანი იყრის თავს — მილიონერები, მსახიობები, სპორტსმენები, სამეფო საგვარეულოთა წარმომადგენლები. ტრიბუნებზე ბილეთის ფასი 400 დოლარსაც აღწევს, თუმცა მაყურებელთა დიდი ნაწილი რბოლას სასტუმროების აივნებიდან, აფრიან ნავთა გემბანებიდან ან სულაც საკუთარი ბინის ფანჯრიდან ადევნებს თვალს.

ტრასა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს მუხრუჭებსა და გადაცემათა კოლოფს, საფარი კი დაუნდობლად ანადგურებს საბურავებს. ბოქსების არე ვიწროა და პილოტთა მომსახურება ჭირს. გუნდების [illegible]

[illegible]

**11 მაისი. მონტე-კარლო**

ტრასის სიგრძე 3.328 კმ
დისტანცია: 78 წრე — 259.584 კმ.

**ბოლო წლების გამარჯვებულები**

1996 ოლივიე პანი (საფრანგეთი, ლიჟიე მუგენ ჰონდა)
1995 მიხაელ შუმახერი (გერმანია, ბენეტონ-რენო)
1994 მიხაელ შუმახერი (გერმანია, ბენეტონ-ფორდი)
1993 აირტონ-სენა (ბრაზილია, მაკლარენ-ფორდი)
1992-89 აირტონ-სენა (ბრაზილია, მაკლარენ-ჰონდა)

**შარშანდელი შედეგები:**

გამარჯვებული: ოლივიე პანი 2:00.45,629 (124,014 კმ-სთ)

საუკეთესო წრე: ჟან ალეზი (საფრანგეთი, ბენეტონ-რენო) 1.25,205 (140,611 კმ-სთ)

პოული: მიხაელ შუმახერი (გერმანია, ფერარი) 1.20,356 (149,036 კმ-სთ)

## კრივი

# მონდომებითა შენითა...

**მამუკა წიკლაური**
**დაიბადა 1972 წლის 4 თებერვალს თბილისში. კრივში ვარჯიში დაიწყო 1981 წელს. იყო საქართველოს მოზარდთა ნაკრების წევრი. მოუგია საკავშირო ტურნირები. 1989 წელს სსრკ პირველობაზე იყო ჩვენი გუნდის კაპიტანი. ამჟამად როტერდამის პროფესიული კრივის კლუბის წევრია. გამოდის 67 და 71 კგ წონით კატეგორიებში.**



მამუკას ვერის ბაღში მდებარე კრივის დარბაზის დირექტორის დავით ქათვარაძის კაბინეტში უნდა შევხვედროდი. იგვიანებდა და მეც მასპინძელთან კრივზე საუბარს შევყევი. მალე მამუკაც გამოჩნდა...

**— ჰოლანდიაში როგორ აღმოჩნდი?**

— საქართველოში არეულობა რომ დაიწყო, კრივს მაშინ ვანებე თავი და დავოჯახდი. საუბედუროდ, ცუდი რამ შემემთხვა, ორი თითი დავკარგე, მაგრამ მერე მაინც გადავწყვიტე სპორტს დავბრუნებოდი, ევროპაში წავსულიყავი და პროფესიონალი გავმხდარიყავი.

ასეც მოვიქეცი, ხელთათმანები მხარზე გადავიკიდე და როტერდამში ჩავედი. იქ პროფესიონალებში ევროპის ჩემპიონს ედი მულდერსს მივადექი. მულდერსმა მოსამზადებელი შეხვედრები ჩამატარებინა, შემდეგ კი ჩემი მენეჯერის ად ვესტერლაკენის მეშვეობით ჰოლანდიის ერთ-ერთ პროფესიულ კლუბთან მოვაწერე ხელი კონტრაქტს 1999 წლამდე. თბილისის „დინამოს" კლუბთანაც გავაფორმე ხელშეკრულება. დილმის ბაზაზე სტადუხინთან ფიზიკურად ვემზადები, ფეხბურთელებსა და კალათბურთელებს შეკრებებზე დავყვები. ამაში დიდად დამეხმარა კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომლის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

ჰოლანდიაში ხუთი ოფიციალური შეხვედრა ჩავატარე და სამი მოვიგე. ახლა ჩემი მენეჯერი ლონდონშია ჯო ლუისის სახელობის კლუბის წარმომადგენლებთან შესახვედრად. ინგლისელები ჩემით დაინტერესებულან და თავისთან გადაბირება მოუსურვებიათ. ლონდონში დიდი სიამოვნებით გადავალ, იქ დონეც უფრო მაღალია და პირობებიც უკეთესო მექნება.

საქართველოში პროფესიული კრივი მინდა დავაფუძნო, ამის თაობაზე მერაბ ჟორდანიას მოველაპარაკე. მაისის ბოლოს თბილისში ჰოლანდიელი პროფესიონალების ჩამოყვანა მაქვს გადაწყვეტილი, ამაში ფირმები „საველიჩი" და „ჯიმექსი" დამეხმარებიან. ქართველთა გუნდს დავით ქავთარაძე მოამზადებს. ეს შეხვედრა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმართება, თუ ლონდონში კონტრაქტს მოვაწერ ხელს. აქ როტერდამის პროფესიული კლუბის ფილიალს შევქმნით და ევროპის პროფესიული კრივის ლიგაშიც გავწევრიანდებით.

**— მოყვარულებში ხომ არ აპირებ დაბრუნებას?**

— ამის უფლება აღარ მაქვს. ატლანტის ოლიმპიადაზეც სურდათ ჩემი წაყვანა, ჰოლანდიიდანაც ჩამოვედი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს ვესაუბრე, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ როგორც პროფესიონალს და თითნაკლულს, სამოყვარულო სარბიელზე ასპარეზობის უფლება არ მაქვს. მაგრამ არა უშავს, თუ მოყვარულებში კარი დამიკეტეს, პროფესიულ კრივს მივხედავ და რითიც შემეძლება, საქართველოში მის განვითარებას შევუწყობ ხელს.

მამუკამ ბოდიში მოგვიხადა, ახლა მეჩქარება, უფრო ვრცლად სხვა დროს ვისაუბროთო და წავიდა.

— რამხელა ნებისყოფა და სპორტის სიყვარული უნდა ჰქონდეს ადამიანს, ასეთი ტრავმის შემდეგ სულიერად არ დაეცეს, ძალა გამონახოს და კვლავ სარბიელს დაუბრუნდეს — მითხრა დამშვიდობებისას დავით ქავთარაძემ; მეც ზუსტად ამის თქმას ვაპირებდი მისთვის...

**ერეკლე კიკილაშვილი**

# ქველიაშვილებს ოლიმპიური ჩემპიონი ეზრდებათ

ყველა სპორტსმენი კარიერას სხვადასხვაგვარად იწყებს: ზოგს ბავშობისდროინდელი ოცნება აუცხადდება-ხოლმე, ზოგი ოჯახურ ტრადიციებს ერთგულობს და მშობლები იმთავითვე ამზადებენ და ზრდიან სპორტსმენად, აი, გამოჩენილ სპორტსმენთა უმრავლესობის პირველ ნაბიჯებს თუ გავიხსენებთ, დავასკვნით, რომ ისინი სრულიად შემთხვევით ხვდებიან სპორტში. მათ შორის ცნობილი ქართველი ტყვიის მსროლელი შოთა ქველიაშვილიც არის.

შოთა ქველიაშვილს ტყვიის მსროლელობაზე ბავშობაში ნამდვილად არ უოცნებია და არც ოჯახში ეგულებოდა განთქმული ჩუბინი. თბილისელი ბიჭი 29-ე სკოლაში ბეჯითად სწავლობდა და თავისუფალ დროს იმით ერთობოდა, რითაც ომისშემდგომი პერიოდის თბილისში მისი თანატოლები: ფეხბურთსა და კალათბურთს თამაშობდა, მტკვარში ცურავდა ერთ დღესაც მისი სკოლის სამხედროს მასწავლებელმა გიორგი ლვინიაშვილმა მეთერთმეტეკლასელი ბიჭები შეყარა და სასროლეთზე წაიყვანა — იქვე, სკოლის ახლოს, ორთაჭალის ცნობილი ბაღების მიდამოებში სამიზნეები გამართეს ბიჭებმა და მცირეკალიბრიანი შაშხანით, ჩვენში „გეკოს" რომ ეძახიან, ბათქა-ბუთქი ატეხეს. მორყეულ-მოძველებული შაშხანით შოთა ქველიაშილმა სამჯერ ისროლა და სამივე ათიანში მოარტყა. რომ იტყვიან, ტყვია ტყვიაში ჩასვა. ამის მნახველ გიორგი მასწავლებელს სათვალე შუბლზე აუვარდა გაოცებისგან, ემანდ რაღაცა ხომ არ მელანდებაო და შოთას კიდევ სამი ვაზნა მისცა — ესენიც ისროლეო. ახალბედა ჩუბინმა, ჯერ კიდევ რომ არ იცოდა, მის თავს რა უბედურება თუ ბედნიერება ტრიალებდა, სამჯერ გულდინჯად გადატენა თოფი, 3 ტყვია კიდევ ისროლა და ისევ 30 ქულა მოაგროვა. ეს ვინა ყოფილაო, — შესძახა გიორგი ლვინიაშვილმა, ჯიბიდან ფანქარი და ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო, ორიოდ სიტყვა დაწერა და იმ წუთიდან მის უსაყვარლეს მოწაფეს მიაჩეჩა ხელში, თან ეს უთხრა: პიონერთა სასახლეში ტყვის სროლის წრის ხელმძღვანელ სევერიან ბარაბაძესთან მიდი და ეს ბარათი გადაეციო. წერილში კი ეწერა: „სევერიან, გიგზავნი მომავალ მსოფლიო ჩემპიონს. გიორგი ლვინიაშვილი." ისე ყველაფერი კეთილად აეწყო, როგორც გიორგი ლვინიაშვილს აუცხადდა წინათგრძნობა.

ორი თვე შეინარჩუნა სევერიან ბარაბაძემ შოთა ქველიაშვილი. ორ თვეში ახალბედა მსროლელი ლიდერად იქცა, თანატოლებში საუკეთესო ჩუბინის სახელი დაიგდო და საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა თენგიზ ხერხეულიძემ და პარმენ ლეკიშვილმა გამოიძახეს ნაკრებში.

„საქართველოს ნაკრებში ქვეყნის მაშინდელი რეკორდსმენი რაფაელ ანანიკიანი დამხვდა, — იგონებს ბატონი შოთა, — აი, როცა რაფაელის გვერდით დავდექი, მაშინ კი შევცბი, საკუთარ თავს ვუთხარი, — შოთა, რაც აქამდე იყო, იმას თამაში დავარქვათ, ნაღდი საქმე კი ახლა იწყება. პირველი სერიოზული შეჯიბრება საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა იყო — ჯერ კიდევ სასკოლო ასაკისა ვიყავი. გამიმართლა: ჩემპიონი გავხდი და საქართველოს 3 რეკორდიც დავამყარე სხვადასხვა იარაღით სროლაში."

არც საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე შეირცხვინა თავი დებიუტანტმა: შემდგომში საბჭოთა კავშირის ნაკრების ლიდერებთან — ივანიუკთან, შერბასთან, დემიდოვთან და სტრელსკისთან ჭიდილში V ადგილზე გავიდა. ეს ოთხეული უკვე 5-6 წელიწადი ვარჯიშობდა ტყვიის სროლაში, შოთა ქველიაშვილი კი ის-ის იყო ეგუებოდა თოფს — შემდგომში ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს.

შემდეგ ჯარში გაიწვიეს, ჯერ ლვოვში მსახურობდა, მაგრამ ყოფილმა ტყვიის მსროლელმა, იმჟამად მწვრთნელმა ლევან ტერტერიანმა კარგად უწყოდა ქველიაშვილის ტალანტისა, სომეხმა მაიორმა ქვეყანა შესძრა და ახალბედა ჯარისკაცი ამიერკავკასიის სპორტულ კლუბში გადმოიყვანა. კვლავ თოფი, კვლავ სასროლეთი და დაულალავი ვარჯიში ნებისმიერ ამინდში — ქარში, ყინვაში, თოვლსა და წვიმაში. ასეთია მსროლელთა ბედისწერა და მხოლოდ რჩეულნი უძლებენ ამ არაადმიანურ პირობებში წრთობას. შოთა ქველიაშვილმა ყველაფერს ვაჟკაცურად გაუძლო. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონიც გახდა და ჩამოიტოვა იმ დროს უკვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიადების გამარჯვებული ანატოლი ბოგდანოვი. მესამე ადგილზე კი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მიხაილ იდკისი გავიდა. ტყვიის სროლის საკავშირო ფედერაციის მესვეურნი გაოცებულნი უცქეროდნენ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ შავტუხა ქართველს და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ვინ არის, ადრე თუ გსმენიათ რაიმე ამ კაცის შესახებო. მოკლედ, სენსაცია შედგა და უკვე მსოფლიოს უძლიერეს ჩუბინთა მძლეველმა შოთა ქველიაშვილმა, მოკრძალებულმა და თავმდაბალმა ადამიანმა ფართო ნაბიჯებით შეაბიჯა დიდ სპორტში და იქ მისთვის გამზადებული კუთვნილი ადგილი დაიკავა.

„ამ დღიდან დავიწყე დიდ სპორტთან ჭიდილი და მაშინ მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება ვუერთგულებდი მას. არმიის ნაკრებში დამტოვეს, შემდეგ ჯარს მოვრჩი და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ გუნდში გამომიძახეს. ორივეგან, რა თქმა უნდა, მქონდა წარმატებები და ჩავარდნები, მაგრამ მაინც პირველი სჭარბობდა მეორეს, — მეტად თავმდაბლური ტონით მიყვება ბატონი შოთა, — მალე საბჭოთა კავშირის მთავარ გუნდში ამიყვანეს — იქ ბოგდანოვისა და იდკისის გარდა ვიქტორ შამბურკინი დამხვდა — სამივე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები. ამ სამეულთან ერთად გავემგზავრე მილანში ევროპის ჩემპიონატზე."

მართალია, მანამდე არაერთი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ქართველმა მსროლელმა, მაგრამ იმ დროისთვის მსოფლიოში უძლიერეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ასპარეზობას და ისიც ევროპის ჩემპიონატზე, სხვა ეშხი და ხიბლი ჰქონდა. ისიც ხშირად ხდებოდა ხოლმე — სპორტსმენი შინაურ, მაშინდელ საკავშირო ტურნირებზე გასაოცარ შედეგებს აჩვენებდა, საერთაშორისო შეჯიბრებებზე კი ბრინჯივით იბნეოდა და ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენად შერაცხული ასეთად რჩებოდა ცხოვრების ბოლომდე და დიდ გამარჯვებას ვერ აღწევდა. იტალიური სასროლეთი შოთა ქველიაშვილისთვის ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა: აქ უნდა დაემტკიცებინა საბოლოოდ, რომ მართალა დიდი, მსოფლიოს დონის სპორტსმენია და არა მარადიული ტალანტი. თუმცა, სპეციალისტები სკეპტიკურად უყურებდნენ მის ასეთ პრეტენზიულობას, რადგან არავის სჯეროდა, რომ უცხოელთათვის ესოდენ უცნაურად მჟღერი — „ქველიაშვილის" გვარის მქონე უჩინო და უტიტულო რატომღაც შავგვრემანი „რუსი", წარმატებას მიაღწევდა ისეთ მსროლელებთან ჭიდილში, რომლებიც ორთავეთვალდახუჭულნიც კი ისე ისროდნენ, რომ ბევრი შენატროდა მათ. ერთ-ერთმა იტალიურმა გაზეთმა ისიც იხუმრა: ქველიაშვილის გვარით რუსებმა უცხოელი ..ურანტი სნაიპერი ჩამოიყვანეს, პარიკითა და გრიმით სახეშეცვლილიო. ახალგაზრდა ჩუბინმა კი, სულ რომ არ აინტერესებდა რას ამბობდნენ მასზე უცხოელი სპეციალისტები და ჟურნალისტები, შინაურებს, ვინც ნდობა გამოუცხადა, გაუმართლა იმედები: კარგად აუბა მხარი გამოცდილ თანაგუნდელებს, მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრიდან გუნდში საუკეთესო შედეგი აჩვენა და გუნდური ჩემპიონობაც საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა. შემდეგ დღეებში საბჭოელებმა კიდევ 2 სახეობაში გაიმარჯვეს, საბჭოთა გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა და ჩამოიტოვა აღიარებული ლიდერები — ინგლისის, უნგრეთის, შვეიცარიის, შვედეთის, ფინეთისა და საფრანგეთის ნაკრებები. თანაც ისე უომლოდ, როგორც არასდროს. ამიტომაც იყო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, უკვე ტონშეცვლილი უცხოური პრესა საბჭოთა კავშირის ნაკრების ტრიუმფს უპირველესად შოთა ქველიაშვილს უკავშირებდა, როგორც რუსთა გუნდის ყველაზე სტაბილურ მსროლელს. ესეც კიდევ ერთი სენსაცია ქველიაშვილის მონაწილეობით.

„ჩემი შვილიშვილი, პატარა შოთიკო წლისა და ორი თვისაა, მსროლელის მონაცემები აქვთ: მთელი დღე საჩვენებელი თითი აქვს გაშვერილი და „ბახ-ბახ" იძახის, — გაბრწყინებული სახით მესაუბრება ბატონი შოთა თავისი მყუდრო ოჯახზე, — მე და ჩემმა რძალმა თეა ზალკალიანმა პირი შევკარით — ბიჭი წამოიზრდება თუ არა, სროლაზე უნდა მივიყვანოთ. თეა მპირდება, შოთიკოს აუცილებლად ოლიმპიურ ჩემპიონად გავზრდიო. ღმერთმა ქნას, რაც მე ოცნებად დამრჩა, ჩემს შვილიშვილს საქმედ ექცეს.

ოლიმპიურ ჩემპიონობამდე კი შოთა ქველაშვილს, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯილა დააკლდა. 1964 წლამდე, ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებამდე ორჯერ ევროპის ჩემპიონი გახდა, ერთხელ მსოფლიოსი, არაერთგზის იმარჯვა საერთაშორისო და საკავშირო ტურნირებში, რაც მთავარია, 6-ჯერ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და უკვე გამოცდილმა და ტიტულოვანმა მსროლელმა დაიწყო მზადება ოლიმპიადის მოსაგებად. მაგრამ კინაღამ ოლიმპიურ გუნდს მიღმა დარჩა ბატონი შოთა: საკავშირო ნაკრების მაშინდელმა ხელმძღვანელებმა ათკაციანი გუნდი ისე დააკომპლექტეს, რომ შოთა ქველიაშვილისთვის ადგილი ვერ გამონახეს. ერთადერთი ვაკანსია — 300 მეტრზე მსხვილკალიბრიანი შაშხანით მსროლელისა გააუქმეს, რადგან ამ სახეობაში საბჭოელი სპორტსმენები მუდამ მარცხდებოდნენ უცხოელებთან ჭიდილში, ამიტომ, კვლავაც თავის შერცხვენას არასრული გუნდის გამოყვანა არჩიეს ოლიმპიადაზე. მაგრამ საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავკაცმა გიორგი სიხარულიძემ ქვეყანა შესძრა, საკავშირო სპორტკომიტეტის ფუნქციონერთა კაბინეტებიდან კრემლის დიდრონ კაბინეტებშიც შეაღწია, არც ძლევნი და ტკბილი სიტყვა დააკლო საბჭოთა სპორტის მესვეურთ და რუსებმაც ინამუსეს: მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენს „გამოუძებნეს" ნაკრებში ადგილი და სწორედ ის დათარსული — 300 მეტრიანი დისტანცია და მსხვილკალიბრიანი შაშხანა ანდეს. ისე, რუსებს წინასწარ რომ სცოდნოდათ რა მოხდებოდა, იქნებ თავიანთ ნარჩევი ათეულის — ნაკრების წევრთა გაბიაბურებას მორიდებოდნენ და ქველიაშვილი არც კი წაეყვანათ იაპონიაში, მაგრამ წინდაწინ, აბა, ვინ იცის, ბედი რას უმზადებს. ათი დარჩეული რუსი ვაჟკაციდან, შეჩვეულ დისტანციაზე, შეჩვეული იარაღით, რომ იტყვიან, საყვარელ სახეობაში, ხუთეულში ერთიც ვერ მოხვდა. სროლაში იარაღისა და დისტანციის შეცვლა, იგივეა, ვთქვათ, ფეხბურთში მეკარე თავდამსხმელად ათამაშო, თავი კი იმართლო — რა მოხდა, ფეხბურთელი ფეხბურთელია, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ პოზიციაზე ითამაშებსო. ამიტომაც, მცირე დისტანციებისა და მცირე კალიბრიანი შაშხანების ოსტატის შოთა ქველიაშვილისგან სასწაულს არავინ ელოდა. მაინც მოხდა ეს სასწაული. სროლის დაწყებისთანავე ქართველი სნაიპერი ლიდერთა ჯგუფში მოხვდა, შემდეგ, ყოველი ეტაპის მერე წინ მიიწევდა. ერთ ხანს ლიდერებს სათავეშიც მოექცა, მაგრამ ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონი და მანამდე უკვე რომის ოლიმპიადის გამარჯვებული შვედი გარი ანდერსონი დაუძლეველი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, აჯობა შვედსავე გუნარსონს, უნგრელ ხამერსა და ჩეხოსლოვაკიელ კუდრნას — ეს ხალხიც ტყვიის მსროლელთა არანაირ ტიტულს არ მოისაკლისებდა. შოთა ქველიაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა და ერთადერთი საბჭოთა მსროლელთაგან კვარცხლბეკის საფეხურზე ავიდა.

ყველა ადამიანს ცხოვრება თავისებურად ესმის და ისე ცხოვრობს, როგორც უნდა. სხვას იქნებ ჩაეთქვა, უთუოდ ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გავხდეო, მით უმეტეს, მაშინ შოთა ქველიაშვილი მხოლოდ 27 წლისა იყო, ამ ასაკში ისეთ წარმატებებს მიაღწია, სხვას, მასზე გაცილებით ხნიერებს, სანატრელი ჰქონდათ. თანაც, 27 წელი „ოქროს ასაკად" ითვლება ტყვიის მსროლელთათვის, მაგრამ ამ კაცმა სხვანაირად განსაჯა და გადაწყვიტა: სპორტში მიღწეულს დასჯერდა და სხვა საქმეს ეწია: მაშინდელი ორჯონიკიძის რაიონის პარტიის რაიკომში დაიწყო მუშაობა. მალე დააწინაურეს და საკმაოდ კარგი თანამდებობაც უბოძეს რაიკომში. თოფს იშვიათად თუ მოჰკიდებდა ხელს — ზამთარზაფხულ მეგობრებთან ერთად სანადიროდ დადიოდა საქართველოში და მეზობელი რესპუბლიკების ტყეებში. აბა, რას წარმოიდგენდა, თუ განგება კვლავაც სასროლეთისკენ მიაბრუნებდა...

ერთ დღეს მასთან, რაიკომში, მისი ერთ-ერთი დამკვალიანებელი პარმენ ლეკიშვილი მივიდა და ყოფილ შეგირდს სთხოვა, საქართველოს ნაკრებს ხალხთა სპარტაკიადისთვის ვამზადებ და, მოდი, ეშმაკს მიაფურთხე, თოფი წამოიღე და მიტიშჩიში შენც წამოდიო. თუმცა, სჯობს, ისევ ბატონ შოთას მოვუსმინოთ:

„ბატონი პარმენის შემოტევას ვერ გავუძელი — ჩემზე ამაგგაწეული კაცი დახმარებას მთხოვდა და, აბა, უარს როგორ ვეტყოდი. ვიფიქრე, ამჯერადაც შევეშველები ნაკრებს და მერე აღარასდროს ვისვრი-მეთქი. ჩაველი მიტიშჩიში და პირველსავე დღეს მეორე ადგილი დავიკავე. შემდეგ კიდევ ორ დისტანციაზე მესამე ვიყავი და თითქმის 3 წლის უვარჯიშებელმა ჩემი წილი დავიდე ნაკრების წარმატებაში. საქართველოს ნაკრები III ადგილზე გავიდა. ამ დროისათვის, მართალია, სპორტიდან წასული ვიყავი, მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტმა სტიპენდია არ მომიხსნა და ფორმალურად მაინც მოქმედ სპორტსმენად ვითვლებოდი. გეცოდინებათ, რა დროც იყო: მაშინ საკუთარი ბედის გადაწყვეტასაც კი ზოგჯერ არავინ გეკითხებოდა. საკავშირო ნაკრების მწვრთნელმა ევგენი პალიკანინმა, როცა სასპარტაკიადო ტყვის მსროლელთა ტურნირი დამთავრდა, ნაკრების სია წაიკითხა: მათ შორის მეც ვიყავი. გავოცდი და თან შევწუხდი: ერთი რომ, ჩემთვის არავის უკითხავს, ისე დამაბრუნეს გუნდში, მეორეც, თბილისში აწყობილი საქმე და სამუშაო მელოდებოდა — მაშინდელ პარტიის რაიკომში სანახევროდ ვერ იმუშავებდი — ან უნდა გემუშავა, ან წასულიყავი. მეც რა თქმა უნდა, ნაკრების ხელმძღვანელებს უარი განვუცხადე. არგუმენტიც იმ დროისთვის რკინისებული და შეუვალი მქონდა. ვუთხარი, — პარტიას სჭირდება-მეთქი ჩემი ნიჭი და შრომა."

მაგრამ ასე იოლად თავს ვინ დაანებებდა ხელახლა აღმოჩენილ ჩუბინს. კომპარტია გაძლებს ქველაშვილის გარეშე, ჩვენ — არ გაგვეძლებაო, — თქვა საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ სერგეი პავლოვმა და ყველაფერი იღონა ახალგაპარტიებულის ნაკრებში დასაბრუნებლად — საქართველოს მაშინდელი ცკ-ს I მდივანი ვასილ მჟავანაძეც კი შეაწუხა — პავლოვიჩ, ცოტა ხნით გვათხოვეთ ეგ კაციო. ამასობაში შოთა ქველიაშვილი თბილისში დაბრუნდა, ერთ მშვენიერ დილას სამსახურში მივიდა თუ არა მაშინვე უფროსთან — რაიკომის პირველ მდივან კაკო კარანაძესთან გამოიძახეს. ზემოურთა სატელეფონო ზარებით ცოტა არ იყოს შეშფოთებულ კარანაძეს ხელში თბილისი — კიევის რეისის თვითმფრინავის ბილეთი ეჭირა და ნახევრად ვედრებით უთხრა ხელქვეითს: შოთა, შენი ჭირიმე, ხვალ კიევში უნდა იყო შეკრებაზე, სასწრაფოდ წადი, სანამ ბრეჟნევი დამირეკავდეს. შენს ადგილს კი, მამაზეციერი რომ ჩამოვიდეს, იმას არ დავუთმობ და შეგინახავო.

სპორტში ხელახლა მიბრუნება ბატონმა შოთამ ტრიუმფით [illegible] რიომდა [illegible] და 2 [illegible] რდი ლამყარა, მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირში იმარჯვა და, ბოლოს, საუკეთესო ლუდით სახელგანთქმულ ჩეხთა ქალაქ პილზენში დაამთავრა სპორტული კარიერა. პილზენის სასროლეთზე ევროპის ჩემპიონობა მოიგო და ტრიუმფალურად დაწყებული სპორტული გზა ტრიუმფითვე მოილია.

აქ მთავრდება შოთა ქველიაშვილის ბრწყინვალე სპორტული კარიერა. მისი სპორტული ცხოვრება არ იყო მარტო თოფი და სასროლეთი. იყო უამრავი თავგადასავალი, მოგზაურობა, შეძენილი მტერ-მეგობრები, უამრავი წყენა თუ სიამოვნება. ერთიც ხაზგასასმელია: შოთა ქველიაშვილს არაერთი ქვეყნის მოქალაქეობას სთავაზობდნენ, ზღაპრულ ჰონორარებსა და ხელფასებს ჰპირდებოდნენ, ოღონდ ჩვენებური გახდი და ჩვენი სახელით იასპარეზეო. მაგრამ ერთი-მეორის მიყოლებით გაწბილებულნი და გაკვირვებულნი სტოვებდნენ მის ოთახს გერმანიის, ფინეთის, შვეიცარიის, მექსიკისა და ვენესუელის ნაკრებების მენეჯერები და აგენტები. ფოჩიან კანფეტებს ვერ დაახარბეს ქართველი ვაჟკაცი — ცოტა იყოს და ჩემი მირჩენიაო, — ამბობდა და დღესაც ამ პრინციპით ცხოვრობს. თუმცა, ერთხელ, ახალგაზრდობისას „სიხარბემ" დარია ხელი: მოსკოვში, ხალხთა სპარტაკიადაზე გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, მათ შორის ტყვიის მსროლელებიც. შოთა ქველიაშვილმა და თამაზ ლეკიშვილმა ნაკრების მწვრთნელი თენგიზ ხერხეულიძე ისე გააბრაზეს, რომ ხერხეულიძემ ღამით ორივე გამოყარა სასტუმროდან და კარები მიუკეტა. ახალგაზრდებმა გული არ გაიტეხეს, იარეს, იარეს და შუაღამისას საერთო საცხოვრებელს მიადგნენ — აქ ქართველ სპორტსმენთა დელეგაციის ნაწილი ცხოვრობდა. შოთა და თამაზი დელეგაციის ხელმძღვანელებმა ერთი ფართო ოთახში მოასვენეს. შერისხულმა ბიჭებმა აღმოაჩინეს, რომ საკუჭნაოში იყვნენ — მთელი ქართული დელეგაციის საკვები პროდუქტების მარაგი აქ იყო თავმოყრილი, მათ შორის სპორტის რუს ჩინოვნიკთათვის ძღვნად გამზადებული „სპეცჩამოსხმის" „ენისელი", „ვარციხე", „ხვანჭკარა", „საფერავი"... დაუძახეს ბიჭებმა სხვა ქართველ სპორტსმენებს, „გულღია მასპინძლის" კვალობაზე კარგად უმასპინძლეს და დილამდე მოულხინეს მათთან ერთად. რა თქმა უნდა, დელეგაციის მარაგის გამნახევრებელთა ორგანიზატორებს მკაცრად ..სჯა დაუპირეს, მაგრამ ქველიაშვილი და ლეკიშვილი სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ, გამარჯვებულებს კი, მოგეხსენებათ, არ ასამართლებენ.

ამჟამად შოთა ქველიაშვილი საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის ხუთჭიდის კათედრას ხელმძღვანელობს. როგორც ყველა საქმეში, სადაც იმოღვაწა, აკადემიაშიც პატიოსანი და მცოდნე პედაგოგის სახელი აქვს, სტუდენტებში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს და სანაცვლოდ არაფერს სასიკეთოს არ იშურებს მათთვის. არაერთმა ცნობილმა სპორტსმენმა გაიარა მის ხელში, მაგრამ ნინო სალუქვაძე გამორჩეულად უყვარს. „ადამიანზე იტყვიან ნიჭიერია, ტალანტია და ათასგვარი ეპითეტით შეეცდებიან მისი შესაძლებლობის ახსნას. არ მეგულება სიტყვა, ნინოს შესაძლებლობებს რომ ესადაგებოდეს" — არ მალავს ნიჭიერი სპორტსმენისა და სტუდენტისადმი აღტაცებას მადლიერი პედაგოგი.

ვალმოხდილ სპორტსმენს ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცებიც არ ივიწყებენ — 14 წელია შოთა ქველიაშვილი საერთაშორისო ფედერაციის წევრია. უმაღლესი კატეგორიის მსაჯს სამსაჯოდაც იწვევენ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, თათბირ-სემინარებზეც ჭკუას ეკითხებიან ამ საქმეში ჭიპმოჭრილ ადამიანს. თავადაც ხეირობენ და მის ღვაწლსაც აფასებენ.

გამომშვიდობებისას ბატონმა შოთამ გერმანიიდან გამოგზავნილი ერთი ბარათი მაჩვენა: გერმანელი სპორტის მოყვარული და კოლექციონერი ორნდ ზომერი ყველა ოლიმპიადის მედალოსანთა ავტოგრაფებს აგროვებს თურმე. 59 ქვეყნის 4700 ოლიმპიელის ავტოგრაფი უკვე მაქვს და ძალიან გთხოვთ, ნუ დამზარდებით, თქვენი ავტოგრაფიც გამომიგზავნეთო, — სწერს ბატონ შოთას. რა დასამალია და სიხარული შევნიშნე თვალებში ბატონ შოთას — ვიღაც გადამთიელს რომ ახსოვხარ და ავტოგრაფს გთხოვს, უკვე მტვერწაყრილ მოგონებას რომ კეთილად შეგახსენებს, აბა, მაგას რა სჯობია. არადა, არც გაემტყუნება გერმანელს: ოლიმპიურ მედალსაც რომ თავი დავანებოთ, განა შეიძლება დაივიწყება კაცისა, ვინც 60 წელს ისე მიატანა, უკან მოხედვისა არ ეშინია, რამეთუ ერთი შავი ლაქა რაა, ისიც კი არ ეგულება მის მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე.

**ლევან ჯავახიშვილი**



ნინო სალუქვაძე ეს-ესაა სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. მიმლოცველთაგან ერთ-ერთი პირველი შოთა ქველიაშვილი იყო

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

### დღეს, შაბათს, 10 მაისს

11.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ“; 12.00 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. ბუდაპეშტიდან; 12.30 ზე-კაცთა სამჭიდი (ტრი-ატლონი): მსოფლიო თასი. იაპონიიდან; 13.30 ავტორბოლა: ნასკარი. ვინსტონის თასის სერიალი. კალიფორნიიდან; 14.30 „მსოფლიოს ულონიერესი კაცი“; 15.00 ყინულის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთიდან (მ); 16.00 ველორბოლა: რომანდიის ტური. შვეიცარიიდან (პ); 16.45 ავტორბოლა: ტურკარი. ცოლდერიდან (ბელგია) (პ); 17.45 ჩოგბურთი: მერსედეს-სუპერ-9. II ნახევარფინალი. ჰამბურგიდან (პ); 19.30 ველორბოლა: რომანდია; 20.00 ძიუდო: ევროპის პირველობა. ოსტენდედან (ბელგია) (პ); 21.00 წრთობა: გრან-პრი. ესენიდან (გერმანია); 22.00 ჩოგბურთი: ჰამბურგი. I ნახევარფინალი; 23.30 ფეხბურთი: საფრანგეთის თასის ფინალი. ნიცა — გინგამი; 2.00 კრივი: მძიმე წონა; 3.00 ტურკარი (-); 4.00 საბრძოლო ხელოვნებანი: ბერსის ფესტივალი (პარიზიდან; 5.00-მდე)

### ხვალ, კვირას, 11 მაისს

11.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. ფინალი. გეტებორგიდან; 12.30 ნასკარი (-); 14.00 ტურკარი (-); 15.00 ჰოკეი (მ); 16.00 ტურკარი: სილვერსთოუნიდან (პ); 17.00 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. პრაღიდან (პ); 18.00 ტურკარი (-); 20.00 ტურკარი: ცოლდერი; 20.30 ავტორბოლა: ინდიკარის სერიალი. რიოდან (21.00-დან პ); 23.30 ჰოკეი: I ფინალი; 1.30 ტურკარი: ცოლდერი; 2.00 ჩოგბურთი: ჰამბურგის ფინალი; 4.00 ტურკარი (-)

### ზეგ, ორშაბათს, 12 მაისს

11.30 ველო-კროსი: პრაღა; 12.30 ტურკარი: ცოლდერი; 13.00 ტურკარი: სილვერსთოუნი; 15.00 ძიუდო: ევროპა; 16.30 ინდიკარი: რიო; 18.00 ჩოგბურთი: იტალიის ვაჟთა ღია პირველობა. I დღე. რომიდან (პ); 22.00 ავტო-სპორტი (მ); 23.30 ჩოგბურთი: იტალია (პ); 1.30 ჩოგბურთი (რ); 2.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები“; 3.00 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა. დოჰერთი — ჰიგინსი (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

# კალათბურთი

## ეროვნული ასოციაციის პირველობა

პლეი-ოფის მეორე წრე

(4 მოგებამდე)

აღმოსავლეთი კონფერენცია

ჩიკაგო (1) — ატლანტა (4) 1-1 (8. V 95:103)

მაიამი (2) — ნიუ-იორკი (3) 0-1 (7. V 79:88)

დასავლეთი კონფერენცია

იუტა (1) — ლეიკერზი (4) 2-1 (8. V 84:104)

სიეტლი (2) — ჰიუსტონი (3) 1-1 (7. V 106:101)

# ჩოგბურთი

## იტალიურ-გერმანული ალიანსი

ამ კვირაში ვაჟები გერმანიის ღია პირველობაზე თამაშობენ, ქალები — იტალიისაზე. იქეთა კვირაში გერმანიაში ქალები იასპარეზებენ, იტალიაში — ვაჟები. ვაჟთა საჰონორარო ფონდი ორივეგან 2 მილიონი დოლარია, ქალთა კი — ორივეგან 925 ათასი. მოკლედ, ისეთი მსგავსებაა, კაცი უნებურად იეჭვებ, მაფიის ხელი ხომ არ მართავს პროფესიულ ჩოგბურთსო.



ქალებს რომის „ფორო იტალიკო“ მასპინძლობს. ხალხის რჩეული ტომით იტალიელი, მოქალაქეობით კი ამერიკელი, 21 წლის ჯენიფერ კაპრიატი იყო. ცთომილმა გოგომ პროფესიულ თამაშს გემო სწორედ რომში გაუგო 7 წლის წინ, ამჯერად კი სამშაბათსვე გავარდა — ზანგ ჩანდა რუბინთან (აშშ) 6:7 (1-7), 2:6 წააგო.

რომაელები ქომაგობდნენ მსოფლიოს მესამე ჩოგანს, დიდი სლემის ტურნირების 9-გზის გამარჯვებულს, ამერიკელ მონიკა სელეშსაც (1), ვისაც იტალიაში 1990 წელს უპირველია, 1991-2 წლებში კი ორი საარაკო ფინალი წაუგია არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან. მონიკამ წელს ორ ტურნირში ითამაშა და ორივეს ფინალი წააგო ახალ პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისთან, ვინაც აპრილში ეზოში ცხენიდან გადავარდა და ვერ ითამაშებს წლის უმთავრეს სათიხნარო შეჯიბრამდე — საფრანგეთის პირველობამდე, რომელიც 26 მაისს იწყება.

მონიკა პირველი წრიდან თავისუფალი იყო, მერე სამშაბათს 7:5, 6:0 ძლია ბარბარა შეტი (ავსტრია), მაგრამ ხუთშაბათს მერვედფინალი თაი-ბრეიქებით 6-8 და 6-8 წააგო ფრანგ მარი პირსთან (10), ვისაც დანით გახმაურებულ დაჭრამდე სელეშთან სამჯერ ეთამაშა და ერთი ხელიც ვერ მოეგო. ამჯერად მონიკამ პირველ ხელში საში, მეორეში კი ხუთი სეტ-პოინტი გაფლანგა. თამაში წვიმის გამო ხუთი საათის დაგვიანებით დაიწყო და მორიგი თავსხმის გამო კიდევ 40 წუთით შეფერხდა.

ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა (3), წელს ზედიზედ მეხუთე რომაულ ტიტულს რომ უმიზნებს, მერვედფინალში რუსი ელენა ლიხოვცევა 6:2, 6:1 ძლია. რუქსანდრა დრაგომირმა (რუმინეთი, 14) კვირას, ჰამბურგის ფინალში წაგებისათვის სამაგიერო გადაუხადა მეწყვილეს, ხორვატ ივა მაიოლის (5) 4:6, 6:4, 6:3. ბარბარა პაულუსმა (ავსტრია, 11) 6:2, 6:1 დაანგრია მასპინძელი 73-ე ჩოგანი ფრანჩესკა ლუბიანი, ვინაც წინადღით 6:4, 6:2 გააგდო გერმანელი ანკე ჰუბერი (4), ვისაც მუცელი და თავი ტკიოდა.

ხუთშაბათის დანარჩენი მერვედფინალები: ირინა სპირლეა (რუმინეთი, 7) — დომინიკ ფანრუსტი (ბელგია) 6:1, 6:3; ჯანეტ კრუგერი (სამხრეთი აფრიკა) — კარინა პაბსუდოვა (სლოვაკეთი, 8) 6:2, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) — საბინე აპელმანსი (ბელგია, 13) 6:3, 6:4; პატი შნაიდერი (შვეიცარია) — ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 6) 7:6 (7-3), 7:5

ჰამბურგის ტურნირის დაწყებამდე უიმბლდონის 1991 წლის გერმანელმა ჩემპიონმა მიხაელ შტიხმა გამოაცხადა, რომ ბეჭის ქრონიკული ტრავმის გამო შემოდგომაზე თამაშს თავს მიანებებს. 28 წლის მიხაელი ამჟამად 26-ე ჩოგანია, 1993 წელს კი მეორეც კი ყოფილა. გერმანიის იმავე წლის ჩემპიონმა შტიხმა (16) ორშაბათს 6:4, 6:4 ძლია სლოვაკი კაროლ კუჩერა, ოთხშაბათს კი 6:7 (2-7), 2:6 წააგო ჩეხ სლავა დოშედელთან და გულმხურვალე საზოგადოებას ცრემლმორეული პირნათლად დაემშვიდობა.

გავარდა გერმანელთა უპირველესი კერპი ბორის ბეკერიც (8). მანამდე მან 7:5, 6:2 დაამარცხა თავისივე შეგირდი ნიკოლას კიფერი, ვინც ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეა, ტურზე სისტემატურად სათამაშოდ არა ცალია და კლასიფიკაციაშიც ოდენ 101-ეა. ბეკერი კიფერზე 10 წლითაა უფროსი და მას „მერსედეს-ბენცის“ მიერ დაფინანსებული პროგრამით ავარჯიშებს.

ორშაბათ-სამშაბათს იმდენი იწვიმა, რომ შემდეგ ორ დღეს მონაწილეთა უმეტესობას ორ-ორი მატჩის გამართვა მოუწია. მეორე ნორჩმა გერმანელმა თომი ჰაასმა (126-ე) 6:4, 6:1 ძლია კარლოს მოია (ესპანეთი, 4), ხოლო ფელიქს მანტიამ (ესპანეთი, 10) 6:1, 6:1 დალახვრა თანამემამულე რობერტო კარეტერო, ვინაც ჰამბურგის ტურნირი შარშან სენსაციურად მოიგო, მას აქეთ კი ტურზე გამართული 21 თამაშიდან 19 წააგო!

მეორე წრე ხუთშაბათს დასრულდა იმით, რომ 1994-95 წლების ჩემპიონმა, შემელოტებულმა ანდრეი მედვედევმა (უკრაინა) 6:1, 6:1 გაისტუმრა უიმბლდონის ჩემპიონი რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 3), მესამე წრეში კი უფრო საგულისხმო ამბები მოხდა:

ჰიშამ არაზი (მაროკო) — თომას მუსტერი (ავსტრია, 1) 6:1, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 2) — დოშედელი 6:2, 6:1; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 11) — მარსელო რიოსი (ჩილე, 5) 6:4, 6:1; სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 12) — ვეინ ფერერა (სამხ. აფრიკა, 6) 6:1, 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 7) — ალექს კორეჩა (ესპანეთი, 9) 6:3, 6:4; მანტია (10) — ბეკერი (8) 7:6 (8-6), 6:2



23 წლის არაზი საფრანგეთში სახლობს და იტალიაში ვარჯიშობს. აქამდე ერთდერთი ტურნირი მოუგია, ისიც შინ — კასაბლანკაში. ამჟამად 54-ე ჩოგანია, მაგრამ მუსტერი მისივე იარაღით — ბურთის ხანგრძლივი გათამაშებით დაამარცხა, ბოლო 4 ქულა კი ეისებით ჩაუგდო.

მუსტერმა კარიერის 44 ტიტულიდან 40 თიხაზე მოიპოვა, ბოლო ორ სეზონში კი ამგვარ საფარზე გამართული 116 მატჩიდან 111 მოიგო. წელს თომასი ხისტ საფარს გაუშინაურდა და ორგან — დუბაისა და კი-ბისკეინში გაიმარჯვა. სამაგიეროდ, თიხაზე გამართული 7 მატჩიდან 4 წააგო.

# ქიციცა და ქიცმაცურიც

## აი, თამაში! აი, ლიგა!

თუ მკითხავთ, ნაღდი ლიგა ესაა! ლამაზი, თანასწორ-წევრა, მთელი ერის გულის-ყურის მიმზიდველი.

ყარაჩელი მე-უცხო-ხილე ყაფლანი ჯანდიერის მიერ მკითხველთათვის [illegible] — 18-კაცა ავსტრალიური ბურთაობის აფლ ლიგაზე მოგახსენებთ, წელს 101-ე სეზონს რომ მართავს.

აფლ-ს დასაბამიდან ვფლ ერქვა და ვიქტორიის შტატის შინაური შეჯიბრი იყო. ბოლო 15 წელია ლიგა გაფართოვდა და მელბურნიდან მთელს ავსტრალიაში გავრცელდა: შარშან ჩემპიონები ჩრდ. მელბურნის „კენგურუები“ იყვნენ, შარშანწინ მელბურნის გარეუბან კარლტონის „ლურჯებმა“ იმარჯვეს, შარშანწინისწინ — დას. ავსტრალიის პერთის „არწივებმა“. შარშანდელ დიდ ფინალში სიდნეის „გედებიც“ გავიდნენ.

კრიკეტის, 13-კაცა ლიგისა და 15-კაცა რაგბის მეტოქეობის მიუხედავად ბურთაობა მაინც რჩება ავსტრალიელთა უპირველეს თამაშად. სტადიონებზე ყოველ უქმეებზე ხალხმრავლობაა. თუ წინა კვირაში 13-კაცა ლიგის 9 თამაშს სულ 91 ათასი კაცი დაესწრო, ბურთაობის 8 თამაშმა 245 ათასი მიიზიდა. აფლ განრიგს ისე ადგენს, რომ ბურთაობის მექა — მელბურნის 100-ათასიანი კრიკეტის მოედანი პარასკევს, შაბათსა და კვირას მთელი სეზონის მანძილზე დაკავებული იყოს.

ამ უქმეებზე VII ტურია. სეზონი მართლაც რომ იშვიათია: ლიდერი ბევრი შეიცვალა, ამჟამად ერთბაშად 6 გუნდი დაწინაურებულა, კიდევ 5 კი ამათ კვალში უდგას. ადგილების გასანაწილებლად მობურთალებს ერთობ ადგებათ „პერსენთიჯი“ — პროცენტად გამოსახული გატანილის გაშვებულთან ფარდობა.

| | მ | ფ | წ | ბ | % | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაჭკაჭები | 4 | 0 | 2 | 714:522 | 136.7 | 16 |
| არწივები (პერთი) | 4 | 0 | 2 | 598:466 | 128.3 | 16 |
| ბომბდამშენები | 4 | 0 | 2 | 571:494 | 115.5 | 16 |
| კატები (ჯილონგი) | 4 | 0 | 2 | 539:512 | 105.3 | 16 |
| მეხამრიდები (ადელ) | 4 | 0 | 2 | 554:550 | 100.7 | 16 |
| ბულდოგები | 4 | 0 | 2 | 544:556 | 97.8 | 16 |
| კენგურუები | 3 | 0 | 3 | 548:500 | 109.6 | 12 |
| გედები (სიდნეი) | 3 | 0 | 3 | 562:522 | 107.6 | 12 |
| ქორები | 3 | 0 | 3 | 518:522 | 98.3 | 12 |
| დოკერები (პერთი) | 3 | 0 | 3 | 455:530 | 85.8 | 12 |
| ვეფხვები | 3 | 0 | 3 | 494:630 | 78.4 | 12 |
| ლომები (ბრისბენი) | 2 | 0 | 4 | 576:534 | 107.6 | 8 |
| ყვავები (ადელაიდა) | 2 | 0 | 4 | 588:570 | 103.1 | 8 |
| ლურჯები | 2 | 0 | 4 | 537:592 | 90.7 | 8 |
| წმინდანები | 2 | 0 | 4 | 556:618 | 90.0 | 8 |
| დემონები | 1 | 0 | 5 | 417:653 | 63.9 | 4 |

რა თქმა უნდა, არც უპრობლემობაა. წესებით მოედნიდან ვერავის გააძევებენ, მაგრამ შუა კვირაში ცთომილებს იწვევენ ტრიბუნალზე, მანტიიანი და პარიკოსანი მსაჯული რომ უძღვება. მოთამაშენი იქ ბიბლიაზე იფიცებენ და ჩვენებებს მერე იძლევიან.

კი იფიცებენ, მაგრამ თურმე ხშირადაც ცრუობენ. ასე მაგალითად, V ტურში „კაჭკაჭებმა“ „ბომბდამშენები“ 99:70 რომ დაამარცხეს, მთელი სტადიონი დაატკბო მავან მოთამაშეთა რასისტულმა გინებამ, მაგრამ ამათ საქმეს რომ ურჩევდნენ, თავი უცოდველ კრავებსავით ეჭირათ.

ამის შემდეგ იყო, კლუბებმა ტყუილის დეტექტორის გამოყენება რომ მოითხოვეს, რასაც აფლ-მა მხარი არ დაუჭირა, აქაო და არაკონსტიტუციურიაო!

თენგიზ არტამონოვი

# რალი

## ძროხებს ერიდეთ

ამაღელვებლად დასრულდა მსოფლიო პირველობის VI რალი — კორსიკისა, ნაპოლეონ ბონაპარტის მშობლიური აიაჩოს შემოგარენში რომ გაიმართა ორშაბათიდან ოთხშაბათამდე.

მსოფლიოს შარშანწინდელმა ჩემპიონმა, ბრიტანელმა კოლინ მაკრეიმ (სუბარუ) სულ ბოლო სპეც-ეტაპზე სასწაული გაახერხა: თუმც ლიდერთან — ესპანელ კარლოს საინსთან (ფორდი) 7 წამს აგებდა, ისე იყოჩაღა, რომ ბოლოს 8 წამით აჯობა. ფინიშის შემდეგ მაკრეიმ თქვა, ცხოვრებაში უკეთ ალბათ ვეღარასოდეს გავაქროლებ მანქანასო.

რალმა ლიდერი ოთხჯერ გამოიცვალა. ორშაბათის პირველი ეტაპი მაკრეიმ მოიგო, მაგრამ მეორიდან მოყოლებული დაწინაურდა „პეჟოს“ ორი ფრანგი მძღოლი — ჟილ პანისი და ფრანსუა დელეკური. დღის ბოლოს პანისი 5 წამს უგებდა დელეკურს, 19 წამს — საინსს, 22-ს მაკრეის, 32-ს პიერო ლიატის (სუბარუ, იტალია), წინა ორი რალის — პორტუგალიისა და კატალონიის გამარჯვებულსა და პირველობის ლიდერ თომი მაკინენს (მიცუბიში, ფინეთი) კი — 38 წამს.

სამშაბათის პირველსავე ეტაპზე მაკინენს დაეჯახა ძრავთა ღმუილით დამფრთხალი ლტოლვილი ძროხა და ხრამში გადაჩეხა. დაწინაურდა დელეკური. დღის ბოლოს მას გაუთანაბრდა საინსი, მაკრეი კი ლიდერებს 22 წამით ჩამორჩებოდა.

ოთხშაბათ დილით საინსი წინ გაიჭრა. მაკრეიმ მალე გადაუსწრო ორივე ფრანგს. ამასობაში გაწვიმდა, რაც სქოთს ერთობ აძლევდა ხელს, რაკი მისი საბურავები სიცხეში ვერ ვარგა. ჰოდა, კოლინმაც ბოლო ეტაპზე ნაღდი სასწაული შეიძლო და წელს მეორე რალში გაიმარჯვა. მანამდე მან კენიური „საფარი“ მოიგო.

კორსიკის რალი: 1. მაკრეი 4 საათი: 31 წუთი. 8 წამი; 2. საინსი ჩამორჩა 8 წამით; 3. პანისი .38; 4. დელეკური .55; 5. ლიატი 1.59; 6. ფილიპ ბუგალსკი (საფრანგეთი, რენო) 6.40

მსოფლიო პირველობა. პირადი: მაკინენი 28 ქულა; მაკრეი 26; საინსი და ლიატი 18. გუნდური: სუბარუ 54, მიცუბიში 36, ფორდი 29

პირველობის შემდეგი რალი არგენტინაში, 20-24 მაისს, ღორღიან გზებზე გაიმართება.

# კრივი

## ჰოლიფილდო, ტაისონი





## მზადაა!

ჭორად დარხეულიყო, მეორედ დაოჯახებული მაიკ ტაისონი ფლორიდაში რიგიანად ვერ ვარჯიშობს, რის გამოც 28 ივნისს ლას-ვეგასში ალბათ აღარ შეერკინება ევანდერ ჰოლიფილდსო.

ჰოლიფილდმა ნოემბერში ბოლოსწინა რაუნდში დასცა ტაისონი და ასოციაციის (ვბა) საჩემპიონო სარტყელი წაართვა. რე-მატჩი წელს, 3 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ მაიკს ვარჯიშისას გაუსკდა წარბი, ევანდერთან შარშანდელ შერკინებაში რომ გაუსისხლიანდა.

ჰოლიფილდი ხელმეორე შერკინებისთვის ტეხასში ემზადებოდა და ჭორები გულს უფორიაქებდა. წუხდა, ჩხუბი ისევ რომ გადაიდოს, მთელი წლის ვარჯიში ოხრად დამირჩებაო. გარდა ამისა, ტაისონის უარის შემთხვევაში ევანდერი კარგავდა კრივის ისტორიაში უდიდეს ჰონორარს — ერთბაშად 35 მილიონ დოლარს!

ფული ჰოლიფილდს თურმე ერთობ უყვარს. აკი თავადაც ამბობს, ერთპიროვნული ჩემპიონობის მოპოვება არად მიღირს; მხოლოდ ისა მწადია, ყველაზე მეტს მიხდიდნენ; ტაისონის ნაცვლად სხვა მეტოქე, გინდ 48 წლის ჯორჯ ფორმენი რომც გამომინახონ, არ შევერკინები, თუ 35 მილიონს ერთი ცენტი დააკლდებაო.

მაჟუთი არც ტაისონს ყვარებია ნაკლებად. დიდ მენეჯერ დონ კინგსაც ერთობ ემდუროდა, ჰოლიფილდთან რე-მატჩისთვის ოდენ 20 მილიონს მაძლევსო.

ვითარება ორშაბათს გაცხადდა. მედიცინის დოქტორმა ბარი მარქმენმა ტაისონის ჭრილობის სრული შეხორცება დაასკვნა და მოკრივეს სისხლსავსე სპარინგის განახლების ნება დართო. ერთი სიტყვით, კრივი 28 ივნისს ახლა უკვე ნამდვილად გაიმართება.

არადა, ეს ლას-ვეგასური დიდ-სეირი რომ ჩაშლილიყო, ჰოლიფილდს მეტოქეს ციმციმ ვერც უშოვნიდნენ. ფედერაციის (იბფ) ჩემპიონი მაიქლ მორერი ფორმაში ვერაა. ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონმა ჰენრი აკინვანდემ სარტყელზე ხელი აიღო და 12 ივლისს ატლანტიკ-სითიში კავშირის (ვბკ) ტიტულს შეეცილება ამის ჩემპიონ ლენოქს ლუისს. აი, რიდიკ ბოუ კი მენეჯერთა ინტრიგების გამო კრივიდან ტაისონისა და ლუისის შეუბმელად 29 წლისა წავიდა.

სამაგიეროდ, რიდიკი წაეჩხუბა დას — ვილმა მელტონს და პოლიციაშიც უჩივლა. მერე ოჯახიშვილებმა განაცხადეს, ჩვენს დაძმურ სიყვარულს მცირე შინაური ცემა-ტყეპა, აბა, რას დააკლებდაო, და თავითანთი მაგალითი საზოგადოებას მაგალითად დაუსახეს.

# რაგბი

## საიდან სადაო?!

## ბოტიკა თბილისში?!



ფრანო ბოტიკა უცნობილესი მორაგბე და ლიგელია.

სულ ჯეელი ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ 10 ნომერი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც კარში დამრტყმელმა მანქანამ — გრანტ ფოქსმა აჯობა და ნაკრების თხუთმეტეულიდან ისე გააძევა, რომ 1987 წელს, პირველ მსოფლიო თასზე ერთი მატჩიც არ უთამაშია, ბოტიკამ პროფესიულ, ლიგის, 13-კაცა რაგბს მიაშურა და იქაც ფრიადი, ალღოიანი მობურთალის სახელი დაიგდო. რაგბი ბოლოსდაბოლოს გაპროფესიულდა და 33 წლის ფრანოც დაბრუნდა: ამჟამად უელსის მოწინავე კლუბ „ჰლანეჰლის“ ლიდერია.

ორშაბათს ქრაისთჩერჩის გაზეთმა „პრესმა“ სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა: ბებერი ბოტიკა თურმე უბრუნდება საერთაშორისო რაგბს, ოღონდაც ითამაშებს არა „ოლ ბლექსში“, არამედ — ხორვატიის ნაკრებში, რომელსაც დღეის სწორს 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი შეჯიბრის I ეტაპის გადამწყვეტი მატჩი ელის ლატვიასთან. თუ ხორვატები შინ გაიმარჯვებენ, ჯგუფში პირველ ადგილს დაიჭერენ და II ეტაპზე შეიძლება საქართველოს ჯგუფში აღმოჩნდნენ. თუ მართლაც ასე მოხდება, მასპინძლები ჩვენ ვიქნებით და დიდ ბოტიკას თბილისში ვიხილავთ!

არადა, არათუ ქართველ რაგბის მოყვარულთა ვიწრო წრეში, არამედ მთელს მსოფლიოშიც ბოტიკა აქამდე ყველას მამალი მაორი ეგონა! მის სახელს იუგოსლავური ელფერი კი დაკრავს, მაგრამ დიდი მობურთალის ხორვატობა ძნელად რომ ვისმე ეფიქრა, მით უფრო, თუ ხორვატია სარაგბო ქვეყანა არაა, უწინ არც დამოუკიდებელი ყოფილა და საქართველოსი არ იყოს, მსოფლიოში ბოლო დრომდე ცოტა ვისმე თუ გაეგონა.

„პრესის“ ცნობით, ფრანოს პაპა ადრიატიკის ზღვაში მდებარე კუნძულ კორჩულაზე დაბადებულა, მერე კი იღბლის საძებრად ქვეყნის დასალიერს — ახალ ზელანდიას გადახვეწილა, მაორი ქალი შეურთავს და 15 შვილი გაჩენია. მათგან უფროსი — ნიკი ფრანოს მამა ყოფილა, მობურთალს კი წინათაც ცოდნია, რომ ხორვატიაში ნათესავები ყავს.

დამოუკიდებელი ხორვატია, ეტყობა, მთელი მსოფლიოდან კრებს თავისიანებს. რაგბის ნაკრებს ზელანდიაშივე გაზრდილი ენდი სუმიჩი წვრთნის. ამ კაცს ბოტიკას წარმომავლობა ადრევე ცოდნია, ახლა კი ნაკრებშიც მიუწვევია, რასაც ფრანო ხალისით დათანხმებულა, ესაო და რომ მოვბერდი, „ოლ ბლექსში“, აბა, ვიღა მიხმობს, წინაპართა ქვეყნისა კი ვალი მმართებსო.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29